საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 21 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი.

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 266 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 266

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79

უსაზღვროდ გულ დაწყვეტილი მშობლები: დედა ნადეჟდა სტეფანეს ასული, მამა კონსტანტინე ზაქარიას ძე, ძმა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ქვლივიძეები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს მათის ძვირფასი შვილის

შაქროს

ნახევარი წლის გარდაცვალების წირვა პანაშვიდის დღეს, რომელიც იქნა მსხვერპლი ადერბეიჯანის ომში, თექვსმეტის წლის გმირი, გიმნაზიელი მოხალისე გარე-კახეთის გვარდიისა. წირვა პანაშვიდი იქნება გადახდილი წმ ნინოს ეკლესიაში, კვირას 21 ნოემბერს.

(3725—2—1)

ნოე გლახუნიძე და მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი შვილებით—ვლადიმერ, ნოე და ტარიელით, დიდი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 ამა ნოემბერს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება სრულიად საქართველოს კათოლიკოზის მიერ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაგიკულად გარდაცვალებულს მათი დაუვიწყარ შვილის და ძმის

ავთანდილის

სულის მოსახსენებლათ. წირვის დასაწყისი—დილით 10 საათ. (ახალი სტილით).

(3747—2—2)

ნესტორ გლახუნიძე და ოლღა არჯევანიძის ასული სიხარულიძენი შვილებით მინადორა, ლუშ, ემელინ, კატო, ქეთო და მარგარიტათი დიდი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას 21 ამა ნოემბერს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება სრულიად საქართველოს კათოლიკოზის მიერ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაგიკულათ გარდაცვალებულის მათი დაუვიწყარის ძმის წულის და ბიძა შვილის

ავთანდილის

სულის მოსახსენებლათ. წირვის დასაწყისი—დილით 10 საათზედ (ახალ დროით).

(3747—2—2)

გულ ჩათუთქულნი: მეუღლე გრიგოლი, დედამთილ-მამამთილი პელაგია და ალექსი, რძალი და მაზლი მარიამი და ნიკოლოზი ფირიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ პირველის დაუვიწყარი ცოლის და მეორეთა ძვირფასი რძლის

თეგრო დიომიდეს ასული ლაქონია ფირიაშვილისას

გამოსვენება ბინიდან ოლღას ქ. № 59. დღეს, 21 ნოემბერს დილის 10 ს. და დაკრძალვა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (ვერაზე) წირვის შემდეგ.

(3754—1—1)

მაქსიმე ონისიმეს ძე და მეუღლე თინათინი შვილებით თამარი და შალვა ლაქუნიები ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ ძმის შვილის უდროვოთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ

თეგრო დიომიდეს ასული ლაქონია ფირიაშვილისას

რომელიც მოხდა თფილისში. გამოსვენება ბინიდან, ოლღას ქ. № 59 დღეს, 21 ნოემბერს, დილის 10 ს. და დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. წირვის შემდეგ.

ღრმად დამწუხრებულნი დედა მართა და მამა დიომიდე ონისიმეს ძე შვილებით ნატაშა, მარგალიტა, ალი ტრაზო და გრიშა ლაქუნიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი შვილის ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

თეგრო დიომიდეს ასული ლაქონია ფირიაშვილისას

დაკრძალვა მოხდება თფილისში, დღეს 21 ნოემბერს ვერაზე ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. წირვის შემდეგ.

(3753—1—1)

---

18 ნოემბერს, სოფ. ხომლში გარდაიცვალა დიაკონის სპირიდონ ნიკოლოზის ძე ფანცხავას ქვრივი

მაკრინე ოტია იოსელიანის ასული

რასაც უგულითადესი მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებს შვილები: რომანოზ, ევგენი და იაკობ ცოლ შვილით და ქალიშვილები: მინადორა იოსელიანისა და მარიამ კუკნაძისა ქმარ-შვილითა და შვილიშვილებით დასაფლავება მოხდება იქვე, ეკლესიის გალავანში 21 ნოემბერს, კვირას, საღამოს 4 საათზე. ამავე დღეს, 3-რეელი საათის ნახევარზე, ქაშვეთის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

(3754—1—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები ნიკო და ირინე კეკელიები, ძმა ავქსენტი მეუღლით ანეტათი, დები სალომე, მატრონა და თეპრონე, სიძე გრიგოლი მიქაია შვილებით ივანე და ნინათი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 17 ნოემბერს გვარდიის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ტრამვაის მოსამსახურე და რკინის გზის უბნის გვარდიელი

ივანე (ვანიჩკა) ნიკოს ძე კეკელია

მიცვალებული გასვენებული იქნა დაბა ბანძაში (სამეგრელოში) 19 ნოემბერს. დაკრძალვა მოხდება იმავე დაბაში წმინდა გიორგის ეკლესიაში საგვარეულო სასაფლაოზე 23 ნოემბერს.

(3757—1—1)

კვირას 21-ს, დილის 12 საათზე წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და წირვის შემდეგ 12 საათზე პანაშვიდი სასაფლაოზე.

ოლღა ბაბოკაშვილი-ტატიშვილისა

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა და ძმა ბაბოკაშვილები, და მეუღლე გარდაცვალებულისა ტატიშვილი.

(3755—1—1)

ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს

დელეგაცია

და დაბინავდა ჩრდილოეთის ნომრებში ოთახი № 35. დელეგაციის თავმჯდომარე ღებულობს ყოველ კვირას გარდა 12 საათ. 2 საათამდე.

(3684—7—6)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის საავადმყოფო

ეძებს

— ექიმს —

ორდინატორის ადგილზე, სასურველია ქირურგიული მომზადებით, საჭიროა აგრეთვე ფარმაცევტი აფთიაქის გამგეთ. პირობები: ექიმ—სასმელ-საჭმელი, ბინა გათბობით და მოწყობილობით, ჯამაგირი 6500 მ. Curriculm lyifae და განცხადება უნდა გამოგზავნოს ბორჯომში სახელმწიფო მამულის საავადმყოფოს მთავარ ექიმის სახელზე.

(3728 2—2)

რუსთაველის პროსპექტზე ნომერ 6-ში გაიხსნა

ევროპიულ-ქართული ტეხნიკური, სავაჭრო და სამრეწველო კანტორა

„ევრ-ივერია“

კანტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში. კანტორას დამოკიდებულება აქვს გერმანიასთან და სულ მოკლე ხანში შეუძლიან მოწყობა წისქვილების, სადგურების, ქარხნების და ყოველივე სამრეწველო წარმოების. კანტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან სამეურნეო და სხვა იარაღები.

(3721—3—2)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

აცხადებს შეჯიბრებას

ათას არშინ ძველ ნაბადზე

განცხადებები მიიღება დაბეჭდილ კონვერტებში ფასის აღნუსხვით კომერციულ განყოფილებაში გოგოლის ქუჩა № 51, ყოველ დღე 24 ნოემბრიდან 9 საათიდან 3 საათამდე. იქვე შეიძლება მიღება ყოველგვარ ცნობებისა.

(ნ. 1—1)

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ. დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელიც თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ-ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალური ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნუსხულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—10) **საქართველოს კოოპერატიული ბანკი.**

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, ნოემბრის 21-ს საღამოთი

მსხვერპლი

ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

ბილეთები გაყიდულია.

დასაწყისი საღ. 8 ს.

სამშაბათს, ნოემბრის 23-ს

უგვირგვინო მეფენი

ალ. შანშიაშვილისა

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(ნ. 1—1)

კვირას, 28 ნოემბერს, დილის 11 საათზე ეროვნული (ყოფილ ფრეილინის) ქ. № 11, შესდგება

საქართველოს ტეხნიკური საზოგ-ბის

წლიური კრება

(3756—1—1)

„კომუნისტის“ ეჭვიანობა

კომუნისტების ადგილობრივ მოღვაწეებისათვის არ შეიძლება აშკარა არ იყოს მთელი შეუსაბამობა იმ ნოტისა, რომელიც საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა ნარკომს ბ. ჩიჩერინს გამოუგზავნია საქართველოს მთავრობისათვის და რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს ბათომის შესაძლებელ დათმობის წინააღმდეგ ანტანტის სახელმწიფოთათვის. ჩვენ გვგონია, რომ ეს ნოტა გაუგებრობის ნაყოფია და მოსკოვის მხრივ საქმის გაუცნობლობაზეა დაფუძნებული, რადგან ვინც იცის, რას წარმოადგენს ჩვენთვის ბათომი, ვინც იცის, რამოდენი ძალა და ენერგია დავხარჯეთ, რომ ეს ქალაქი **ანტანტის** ხელიდან ჩვენ ხელში გადმოსულიყო, ვინც იცის, რომ ამ ნიადაგზე ჩვენ სერიოზული შეტაკებებიც კი გვქონდა ინგლისთან, ის ვეღარ დაიწყებს იმისთანა შეუსაბამო ეჭვიანობას, როგორიც მოსკოვის მთავრობამ გამოიჩინა საქართველოს მიმართ. ჩვენ ცოტა მაინც იმედი გვქონდა, რომ ადგილობრივი კომუნისტები, შეეცდებოდენ გამოეყვანათ, შეერეული მოსკოვი იმ შეცდომიდან, რომელშიც იგი ჩავარდნილია საქართველოს პოლიტიკის შესახებ.

სამწუხაროდ ადგილობრივმა კომუნისტებმა ეს ცოტა იმედიც არ გაგვიმართლეს—პირიქით, მათი პრესა ცდილობს გაამართლოს ის ეჭვები, რომელსაც მოსკოვის მთავრობა შეუპყრია ბათომის გამო. „არ არის კვამლი უცეცხლოდ“—ასეთის სათაურის წერილია მოთავსებული როგორც ქართულს, ისე რუსულ „კომუნისტში“.

კომუნისტური გაზეთები ცდილობენ გამოუნახონ ლოღიკური გამართლება მოსკოვის ეჭვიანობას. ეს გამართლება ასეთია.—ევროპის სახელმწიფოებში წასულნი არიან საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი. მათს წასვლას ევროპაში განსაზღვრული და სრულიად აშკარა და დაუფარავი მიზნები აქვს. სხვა ვინმემ რომ დააყვედროს საქართველოს მთავრობას „საიდუმლოებით მოცული“ დიპლომატიის წარმოება, საბჭოთა რუსეთის მოტრფიალე მაინც ჩუმათ უნდა იყოს, რადგან დიპლომატიის საიდუმლოების მხრით საბჭოთა რუსეთმა ნიკოლოზის დიპლომატებსაც კი გადააჭარბა. საქართველოს მინისტრის გამგზავრებას კი არავითარი „საიდუმლოება“ არ სდევდა: ისინი წავიდნენ ევროპაში, ჯერ ერთი, ევროპასთან ეკონომიურ ურთიერთობის გასამაგრებლად და სესხის საშოვნელად, მეორე — იმ მიზნით, რომ დიდ სახელმწიფოთა მიერ საბოლოოდ ცნობილ იქნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. პირველი მიზანი ისეთია, რომ საბჭოთა რუსეთი ვერ გვიკიჟინებს მის დასახვას, რადგან რუსეთის და ევროპის ეკონომიური ურთიერთობის გამაგრების მიზნით საბჭოთა რუსეთმა საქართველოზე ბევრათ ადრე გაგზავნა ევროპაში თავისი წარმომადგენელი „როგორი საფასურით“ მოახერხებენ საქართველოს წარმომადგენლები ამ ეკონომიური ურთიერთობის გამაგრებას ევროპასთან, ეს საბჭოთა რუსეთს სრულებით არ შეეხება, როგორც ჩვენ არ შეგვეხება ის, თუ რა ფასით ყიდულობენ ამ ურთიერთობას საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები. საბჭოთა რუსეთის მხრით ამ საკითხის მხოლოდ დაყენებაც კი, ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევა და ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შებღალვა იქნებოდა.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი ვერც იმას გვისაყვედურებს, რომ ჩვენი წარმომადგენლები ცდილობენ ევროპის სახელმწიფოების მიერ ცნობილ იქნეს ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა: მის მეთაურთ თითონაც არაფერი აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ ევროპაში საბჭოთა რუსეთის მთავრობა იცნონ. ჩვენი პოლიტიკური ხაზი სრულიადაც არ მოითხოვს ევროპის სახელმწიფოებთან ყოველის კავშირის გაწყვეტას. პირიქით, ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მისი პოლიტიკურად გამაგრება და ეკონომიურად მოღონიერება შეუძლებელია, თუ ევროპასთან არ დავიჭიროთ რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი თუ ჩვენში არ გაძლიერდა ევროპიული მრეწველობა, განათლება, კულტურა. ასეთია ჩვენი რწმენა და, რაც უნდა ეჭვიანობა გამოიჩინოს საბჭოთა რუსეთმა, ჩვენ ევროპასთან დაახლოვების გზას ვერ გადუხვევთ. თუ საბჭოთა რუსეთს სურს ჩვენთან კეთილმეზობლური განწყობილება იქონიოს, იგი უნდა შეურიგდეს ამ ჩვენს რწმენას და თავს არ უნდა მოგვახვიოს თავისი რწმენა. ჩვენ გადაჭრით ვუცხადებთ საბჭოთა რუსეთს და მთელს ქვეყანას: ჩვენ თავის დღეში ფიქრადაც არ მოგვივა ვიყიდოთ ევროპასთან კავშირი ბათომის დათმობის ფასათ, ჩვენ ამაზე ლაპარაკიც კი შეურაცხმყოფელად მიგვაჩნია. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ საბჭოთა რუსეთმა კეთილ ინებოს და თავი მიანებოს ამნაირს ეჭვიანობას და გაგვანთავისუფლოს იმნაირი ნოტებისაგან, როგორიც არის ბ. ჩიჩერინის უკანასკნელი ნოტა? საბჭოთა რუსეთი, ეჭვი არ არის, მხოლოდ მაშინ იქნებოდა სრულიად გულდამშვიდებული, თუ ჩვენ ყოველს კავშირს გავწყვეტდით დასავლეთ ევროპასთან, თუ ჩვენ აღარ ვინდომებდით აღარც ევროპის სახელმწიფოებთან ეკონომიურს კავშირს, აღარც მათის მხრით ჩვენი სახელმწიფოს ცნობას. მაგრამ, აშკარაა, ეს იქნებოდა მთელი ჩვენი პოლიტიკის შეცვლა, უარის თქმა იმ ხაზზე, რომელსაც ადგია ჩვენი რესპუბლიკა, ეს იქნებოდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის ხაზზე გადასვლა და მის მაჩანჩალად გადაქცევა.

კომუნისტური პრესა აფრთხილებს საქართველოს, დასავლეთ იმპერიალისტების ლუკმად არ იქცეო. „დამოუკიდებლობა იმპერიალისტებისაგან მათთვის (ქართველ მშრომელთათვის) უბრალო მოჩვენება კი არ არის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“, ვკითხულობთ კომუნისტების გაზეთებში. თუ ეს სიტყვები გულწრფელათ არის ნათქვამი, თუ კომუნისტები გულწრფელათ სთვლიან საქართველოს დამოუკიდებლობას „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად“, მათ ისიც უნდა შეიგნონ, რომ ჩვენმა მშრომელმა ხალხმა უნდა შეინარჩუნოს ეს დამოუკიდებლობა არა მარტო ევროპის იმპერიალისტებისაგან, არამედ საბჭოთა რუსეთისაგანაც. გასწყვიტე ყოველივე კავშირი ევროპასთან, თუ გინდა საბჭოთა რუსეთის გულის მოგება,—ამის რჩევა დამოუკიდებლობაზე ხელის აღების რჩევას უდრის.

ზოგი რამ

საზიზღროება.

„საქართველოს“ მე-152 მოთავსებულია ვინმე მოხუცის წერილი ახალგორის ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი საზიზღროების შესახებ. შეუძლებელია ამ წერილის აუშფოთებლათ წაკითხვა. ბევრი სისაძაგლე გვსმენია ადმინისტრაციის ზოგიერთ მოხელის მიერ ჩადენილი, მაგრამ ახალგორის მხეცობა—ეს რაღაც დაუჯერებელი რამ არის. ამ საზიზღროების მონაწილეთ ავტორი ასახელებს იქაური ერობის თავმჯდომარესაც და ეს კიდევ უფრო აძლიერებს მოთხრობილ სისაძაგლეს.

ჩვენ ვიცით, რომ აქა-იქ, განსაკუთრებით ცენტრზე დაშორებულ ადგილებში, ზოგი მოხელენის თავკასულობა და უხეში მოქმედება დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. ისიც ვიცით, რომ ასეთი მოხელენის წინააღმდეგ ბრძოლა უბრალო მოქალაქეს მეტად უჭირს და ეძნელება. ისიც ვიცით, რომ ასეთების წინააღმდეგ აქა-იქ ზომებიც არის მიღებული, მაგრამ ეტყობა ასეთი ზომები მიზანს ვერ აღწევს. ამიტომ საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომელიც აგრძნობინებს თავხედ მოხელეებს, რომ არსებობს სახელმწიფო, არსებობს მთავრობა, არსებობს სასჯელი, რომელსაც ვერც ერთი დამნაშავე ვერ გაექცევა.

ხშირათ გვესმის, რომ დამნაშავე დაიჭირეს, მაგრამ გამომძიებელმა მეორე თუ მესამე დღეს გაანთავისუფლაო. შეიძლება გამომძიებელს რომელიმე მუხლი ძველი კანონისა აძლევს ასეთ უფლებას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ ხანაში, საჭირო ხდება ისეთი ზომების მიღება, რომელიც არ ეთანხმება იმ წესებს, რომელსაც გულისხმობს ძველი კანონები. აი, ეს არ არის სათანადოთ შეგნებული და გათვალისწინებული და ამიტომაა, რომ „მკვდარი კანონი“ ასე მაგრათ იჭერს ყოველივე იმას, რასაც ასე დაჟინებით ითხოვს შექმნილი მდგომარეობა. სანამ ეს მეთოდი მოქმედებებისა არ შეიცვლება, მანამ ასეთ საყვედურებს სასამართლოსადმი ბოლო არ მოეღება. ჩვენ გვინდა და ვითხოვთ რომ ახალგორის საქმეში მაინც დაძლეული იქნას რუტინა და იქ ჩადენილი საზიზღროება სასტიკათ დაისაჯოს.

ჩვენ ვითხოვთ ამ საქმის გამო სასტიკ გამოძიებას და თუ დამტკიცდა—სასამართლომ შეუბრალებელი ხელით უნდა დასაჯოს დამნაშავენი და მით დააკმაყოფილოს აღშფოთებული გრძნობა.

რესპუბლიკის ყველა მოხელეებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი არიან ხალხის მსახური და არა ხალხი მათი; რომ მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მათ მოვალეობის ასრულება და რომ მას უფლება არ აქვს ამაზე უარი სთქვას; მან უნდა იგრძნოს რომ ყოველ-გვარი სისაძაგლე და მოვალეობისადმი ორგულობა სასტიკათ იქნება დასჯილი და თუ მას, თავისთავად, არ შესწევს ასეთი შეგნება—აჩრდილი სასტიკი პასუხის მგებლობისა მუდამ თვალ წინ უნდა ედგას, რომ იქნებ ამან მაინც წაართვას ხალისი, ჩაიდინოს ისეთი სისაძაგლე, რომელსაც ადგილი ქონია ახალ-გორში.

განი.

სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

რამზეი მაკდონალდის წერილი.

ჟურნალ „The Naton“-ის 16 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია რამზეი მაკდონალდის წერილი საქართველოს შესახებ შემდეგი სათაურით: „სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში“.

„ეს მე გასაკვირველად მეჩვენებოდა, იწყებს ის თავის წერილს, მივაღწიეთ ჩვენი მოგზაურობის მიზანს. უკვე რამოდენიმე დღეა დავტოვეთ ის, რაც წინათ გვაკავშირებდა ევროპასთან; გავიარეთ კონსტანტინოპოლის მეჩეთები და ბაზრები; ჩვენი მიმართულება იყო სულ ამომავალ მზისაკენ და აი, ჩვენ გვხვდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი თფილისის სადგურზე, აღმოსავლეთურ ხალიჩებით მშვენიერათ მორთულ დარბაზში, რომლის კედლებიც დაფა-

დღეს

ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკება სწარმოებს იმ მდგომარეობის გამო, რომელიც საბერძნეთში შეიქმნა ვენიზელოსის მომხრეთა დამარცხების გამო.

გერმანული პრესა უარყოფს გავრცელებულ ხმებს, თითქოს გერმანია საბერძნეთზე გავლენას ახდენდეს.

ლიონის ცნობებით ყირიმიდან სტამბოლში 100 ათას ლტოლვილს მოელიან. ლტოლვილთა უმეტესი ნაწილი ალჟირში გაიგზავნება.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა აიღო პროსკუროვი. პეტლიურას ჯარი გარბის.

ფრანგული ცნობით მოსკოვში გაძლიერდა ფარული მონარქიული პროპაგანდა.

ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაციები გერმანელების წინააღმდეგ გრძელდება.

თავისუფალ ქალაქ დანციგსა და პოლონეთს შორის ხელშეკრულება დაიდო.

რულია კარლ მარქსის და მის საუკეთესო მოწაფეების სურათებით.

„კიდევ უფრო საკვირველი იყო, როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ, კავკასიის მთების შიგ შუა გულში, გარშემორტყმულნი მრავალ, სიხარულით აღსავსე, ამაყ მთიულებით, ჩვენ ვიდექით და ღრმა ყურადღებით ვისმენდით მათ მისალმებებს".

შემდეგ მაკდონალდი მოკლეთ აღწერს საქართველოს მიერ განვლილ გზას რუსეთის რევოლიუციის დროს და საქართველოს მიერ დამყარებულ წესწყობილებას, შემდეგ სწერს: „აქ არ იყო არც „პროლეტარიატის დიქტატურა", არც ერთი კლასის მეორე კლასის წინააღმდეგ წასისიანება, არც პრესის, სიტყვის, კრებების თავისუფლების მოსპობა".

საქართველოს სინამდვილის ამ თავისებურობას ის ხსნის საქართველოს დემოკრატიის დიდიხნის პოლიტიკური გამოცდილებით და მის შემოკრებით სოციალისტური დროშის გარშემო.

„როდესაც მოვიდა (რუსეთის რევოლიუციის) დიდი ქარიშხალი, საქართველოს ხალხი ქალაქებში და სოფლებში გამსჭვალული იყო სოციალიზმის იდეებით და მან აღმართა წითელი დროშა ნაციონალურ დროშასთან ერთად. ბოლშევიკებს ჩარევა უნდოდათ... გამოჩნდა მათი ჯარები, მაგრამ საქართველოს არ სურდა ისინი, საქართველოს შეიარაღებულმა მუშა-სოციალისტებმა გარეკეს ისინი. მაშინ ისინი კვლავ გამოჩნდენ ფულებით და პროპაგანდით, მაგრამ კვლავ საქართველოს მუშებმა უარჰყვეს ისინი.

„იყო მომენტები, როცა სასწორი თითქოს ირყეოდა. იყო მომენტები, როდესაც „სახელმწიფო პირებმა", რომლებიც ჰკრავენ ქონებას და რეპრესიებს მიმართავენ,—მიმართეს ძალდატანებას. მაგრამ საქართველოს მთავრობა არ ღალატობდა თავის თავს, და აძლევდა მოწინააღმდეგეებს ფართო თავისუფლებას. მან გაიმარჯვა. ეხლა არც ერთ ბოლშევიკურ საზღვარზე არ არის აღმართული ისეთი მიუვალი კედელი, როგორც ის კედელი, რომელიც შექმნა საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ".

მაკდონალდი ეხება საქართველოს კონსტიტუციას და აღნიშნავს მის მხოლოდ ერთ მუხლს, რომელიც მას მოუხერხებლად მიაჩნია. ეს ის მუხლი, რომლითაც აკრძალულია ერთისა და იმავე პირის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ორ წელიწადზე მეტს ყოფნა. ეს შეზღუდვა, მაკდონალდის აზრით, სწორია პრეზიდენტის მიმართ, მაგრამ არ არის მიზან შეწონილი პრემიერ მინისტრის მიმართ.

„თავისუფლება, პატიოსნება, უმცირესობის უფლებების პატივისცემა—აი საქართველოს მთავრობის პრინციპები... „საქართველო, როგორც ქვეყანა, მისი პოლიტიკა, მისი ხალხი საუცხოვოა"—ასეთია მაკდონალდის შთაბეჭდილება საქართველოს შესახებ.

„იმ დროს, როდესაც ყველგან ევროპაში სოციალისტური მთავრობები და პარტიები ქალაქის პროლეტარიატს ემყარებიან და ხშირი კონფლიქტები მოსდით მწვანე არმიასთან და მზგავს გლეხების ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით საინტერესოა აღინიშნოს—ჰარმონიისაკენ მისწრაფება ქალაქსა და სოფელს შორის. ეს მიღწეულია აგრარული საკითხის გადაჭრით".

მაკდონალდი აღნიშნავს, რომ აგრარული საკითხის სფეროში საქართველომ იგივე გზა აირჩია, რომელსაც დიდი ხანია ადგენ ირლანდიის სოციალისტები. აგრარულ საკითხის მარჯვე გადაწყვეტით ხსნის მაკდონალდი იმას, რომ საქართველოში გლეხობა მხარს უჭერს და ერთგულია არსებული წესწყობილების. „საქართველოს მრავალრიცხოვან ყველა სოფლებში, რომლებიც მე ვინახულე და კიდევ უფრო მრავალ-რიცხოვან გლეხების დელეგაციებისაგან, რომლებიც ჩვენთან მოდიოდნენ ღვინით და პურ-მარილით, მე მესმოდა მხოლოდ კმაყოფილების და მომავლის რწმენის სიტყვები.

მოდიოდნენ ჩემთან გლეხები შორიდანაც, აძერბეიჯანიდან. გვიამბობდნენ საშინელ ამბებს იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები ანადგურებენ მათ მიერ ხელში ჩაგდებულ ქვეყანას კასპიის ზღვის ნაპირას, ისე როგორც გაანადგურეს მათ განჯა მის 50,000 მცხოვრებლებით.

მოდიოდნენ გლეხები და მუშები შავი ზღვის სანაპიროდან და გვიამბობდნენ, რომ კალიის მზგავსათ გაიარა მათ სოფლებზე დენიკინმა, და შემდეგ, ქარიშხალის მზგავსათ, გაიარეს ბოლშევიკებმა. ისინი გვთხოვდენ იარაღს, რომ განთავისუფლებულიყვნენ თავის მტრებისაგან, ქართველი გლეხები კი გვთხოვდენ გუთნებს და ბარის სახნავ დანებს თავის მიწების დასამუშავებლათ. წინათ, როდესაც სპარსელები და სხვა მუსულმანი ხალხი მოდიოდენ აღმოსავლეთიდან, საქართველო ხშირად რჩებოდა კუნძულად ველურ ზღვაში. ვისხედით რა ჩვენ ოთახში, ტფილისში, და მოვისმინეთ რა დეპუტაციები, წავიკითხეთ დოკუმენტები, რომლებიც გადმოგვცეს ჩვენს განკარგულებაში—ჩვენ შეგვეძლო [illegible]ლის ტალღები, რომლებიც ეხეთქებიან ამ პატარა ბედნიერ სოციალისტურ სახელმწიფოს კედლებს, ეხეთქებიან, მაგრამ არ შეუძლიათ შეიჭრნენ მის ფარგლებში".

დიდ ინტერესს წარმოადგენენ მაკდონალდის შენიშვნები ინგლისის პოლიტიკის შესახებ საქართველოს მიმართ.

„ისტორია, კულტურა და სული ქართველ ხალხისა აძლევენ მას ნაციონალურ თავისუფლების მოთხოვნის უფლებას, მაგრამ დასავლეთის გამარჯვებული ქვეყნები არ სცნობენ ამას. ჩვენი წარმომადგენელნი თხოულობდენ საქართველოსაგან, რომ მას მხარი დაეჭირა დენიკინისათვის. ისინი ართმევდენ საქართველოს სამხედრო ქონებას, რომ შეეიარაღებინათ თეთრი გვარდია, რომელიც მზათ იყო თავს დასხმოდა საქართველოს და კვლავ დაედო მის კისერზე რუსეთის უღელი. ეს პოლიტიკა ცუდი გამოდგა. საქართველოს მიერ დენიკინის დაფასება უფრო სწორი გამოდგა, ვიდრე ინგლისის მიერ. ეხლა საქართველოს ემუქრება ყაჩაღური ბოლშევიზმი ბაქოს მხრივ. (შეცდომაა იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკები ჰმართავენ აძერბეიჯანს, რადგანაც იქ მხოლოდ ულმობელი სამხედრო ოკუპაციაა). და ბოლშევიკურ-თურქულ ნაციონალისტური შეტევა ტრაპიზონის მხრივ. საქართველო აკეთებს ყველაფერს, რაც ძალუძს, თავის დასაცავად. მაგრამ მანამ მისი არსებობა არ არის ცნობილი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ—მანამ საფრთხე შესაძლებელია ძლიერი აღმოჩნდეს.

ჩვენი პოლიტიკა ახლობელ აღმოსავლეთში გვეკარნახება გეოგრაფიული ქარტით. თუ ეს ქარტა რამეს არ ამბობს ბოლომდის—საკმაოა კავკასიის ხალხთა—შავსა და კასპიის ზღვის შორის—ისტორიის გაცნობა.

მაკდონალდი ენერგიულათ აფრთხილებს ინგლისის მთავრობას იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს საქართველო მეორე ბალკანეთის მდგომარეობამდის.

„საქართველო ნაციონალისტურია ყოველივე იმპერიალიზმის გარეშე, ინტერნაციონალურია—მაგრამ არა აქვს ტენდენცია სხვის ნებისყოფის იარაღათ გადაიქცეს. ის უკვე აკეთებს ყველა იმას, რაც მას შეეხო, საქართველოს ფედერაციის შესაქმნელათ. მაგრამ ჯერ იმედები არ არის: სომხეთი ირყეოდა, აძერბეიჯანი ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში... და მაინც, თუ საქართველო მოიგერიებს თავის მტრების თავდასხმას, თუ ვრანგელის გამარჯვება და რუსეთის მილიტარიზაცია არ მიიყვანენ მას დაღუპვამდის—ის კვლავ დაუბრუნდება პოლიტიკურ ფედერაციას. თუ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ყველა შეცდომების შემდეგ—რაიმე ისწავლა—და მზათ არის იხელმძღვანელოს უბრალო გონივრობით და მომავლის განჭვრეტით—მან უნდა თავის მხრით მხარი დაუჭიროს საქართველოს.

„ჩვენი მიზანი, პირველად ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ვცნოთ საქართველო de iure, შემდეგ იმაში, რომ მხარი დავუჭიროთ და რჩევით ვუშველოთ მას მიხწევა სომხეთთან სრულ შეთანხმებისა, და შემდეგ ამავე გზით ვუშველოთ მას ამიერ-კავკასიის თავისუფალ ხალხთა კავშირის შექმნის საქმეში.

საქართველოს ხალხს—წრფელი გული აქვს, როგორც მამაც რაინდს, და ერთ მეგობრულ ნაბიჯისათვის ის ძველ ბევრ უკმაყოფილებას და წყენას დაივიწყებას მისცემს".

დამფუძნებელი კრება

19 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

ი. გომართელი მოახსენებს კრებას დეკრეტს ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოსაწყობად 1 მილიონ მანეთის გადადების შესახებ. მომხსენელი აღნიშნავს, რომ სანატორიუმის გახსნის ინიციატივა აიღო ხელში მიწათ მოქმედების სამინისტრომ, რომლის ხელშიაც არის საქართველოს ყველა კურორტები. სანატორია 40 საწოლით არის მოწყობილი. წარმოდგენილი დეკრეტი მიიღო ჯანმრთელობის კომისიამ, ამ დეკრეტმა კამათი გამოიწვია საბიუჯეტო ფინანსიურ კომისიაში. საქმე იმაშია, რომ ეს ფული უკვე მოხმარდა სანატორიუმს და დამფუძნებელ კრებას მოსახდარ ფაქტის წინაშე უხდება დეკრეტის განხილვა. გადაწყდა ეს ფაქტი ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მომავალში ასეთ შემთხვევებს არ ჰქონდეს ადგილი. დეკრეტი კი მიღებულ უნდა იქნას, რადგანაც ყველასთვის ცხადია დიადი მნიშვნელობა სანატორიუმის და აშკარაა, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროს ნაბიჯი ამ მხრივ მეტად მიზანშეწონილი იყო.

გრ. რცხილაძე აღნიშნავს, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროს არ ჰქონდა უფლება 1 მილ. მანეთი დაეხარჯა სანატორიუმის მოსაწყობათ. ამის უფლება არ ქონდა მიცემული ბიუჯეტით. ეს არის შელახვა პარლამენტის საბიუჯეტო უფლების. ორატორი წინააღმდეგია დეკრეტის მიღებისა.

ბ. ჩხიკვიშვილი უპასუხებს რა რცხილაძეს აღნიშნავს, რომ ფული დახარჯულია მიზანშეწონილად, რაც აქ აღნიშნა კიდეც მომხსენებელმა. სანატორიუმის დაარსება უეჭველსათ საჭირო იყო და ფულიც მთავრობის დასტურით იყო დახარჯული. სანატორიუმის დაარსების საკითხი გაირჩა მთავრობის სხდომაზე 22 ივლისს და ამის შესახებ შესაფერი დადგენილებაც იქნა გამოტანილი. მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ წარდგენილი დეკრეტი მიღებულ იქნა მთავრობის მიერ, კანტროლის შესწორებით და დაევალა მიწათ მოქმედების მინისტრს დეკრეტის მიღებამდე საჭირო თანხები გაეღო სამინისტროს საოპერაციო თანხებიდან. მეორე საკითხი მდგომარეობს იმ ში, რომ სანამ დამფუძნებელ კრებას არ განეხილა ეს დეკრეტი ფულის დახარჯვა არ შეიძლებოდა. ეს დებულება ფორმალურად მართალია. ესვე აღნიშნა მომხსენებელმაც და აკი უნდა ეცნობოს კიდეც მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მომავალში ასეთ ფორმალურ დარღვევას არ ჰქონდეს ადგილი, მაგრამ რადგანაც ფული მიზანშეწონილათ დაიხარჯა და მნიშვნელოვან საქმესაც მოხმარდა, დეკრეტი მიღებულ უნდა იქნას. აქ რცხილაძემ განაცხადა, ახლა ასეთ პირობებში არ გვცალიან სანატორიუმებისათვისო. ვის უნდა დაუჯეროთ, ბ. რცხილაძეს, თუ სპეციალისტების აზრს, რომელთა თათბირზედაც ეს საკითხი გაირჩა და მოწონებულ იქნა კიდეც მიწათ-მოქმედების სამინისტროს პროექტი. სერიოზული საქმე გაკეთდა და იქ, სადაც დამნაშავე არ არის, არც უნდა ვეძებდეთ მას.

გრ. რცხილაძე აღნიშნავს, რომ დეკრეტი მართალია მოწონებული ყოფილა მთავრობის მიერ, მაგრამ სწორედ მთავრობის დასტურის შემდეგ უწყებას ხსენებული დეკრეტი უნდა წარედგინა დამფუძნებელ კრებაში. სიტყვის დასასრულს აღნიშნავს, რომ იმ ეკონომიურ კრიზისს დროს, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, კურორტების მოწყობის დრო არ არის.

კამათი დასრულდა. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

ივ. გომართელი. მძიმე ეკონომიური მდგომარეობა რომ არის, ეს მართალია, მაგრამ ამაზე უარესი პირობებიც რომ იყოს, არის ბევრი ისეთი რამ, რაზედაც ხელს ვერ ავიღებთ. თუ ჩვენ კულტურული ერი ვართ, დღესვე უნდა ვაწარმოვოთ კულტურული საქმიანობა და მე მრწამს, მიუხედავათ მძიმე მდგომარეობისა, ქართველი ხალხი ლელოს მაინც გაიტანს. რა ნაირი მძიმე პირობებიც არ უნდა იყოს, ჩვენ საიმედო მომავლისათვის ნიადაგი მაინც უნდა ვამზადოთ და კულტურულ ერისათვის, რომ სანატორიუმი არის საჭირო, ეს ყველასათვის ცხადია, ეს ფული მიზანშეწონილათ იყო დახარჯული. სანატორიუმი დაარსდა მაშინ, როდესაც დამფუძნებელი კრების სხდომები შეწყვეტილი იყო და მთავრობამ უფლება მისცა სამინისტროს საოპერაციო თანხებიდან გაეღო ხარჯები. თუ დაეთანხმებით რცხილაძეს და არ მივიღებთ დეკრეტს, მაშინ სამინისტრო იძულებული გახდება გაყიდოს სანატორიუმის ინვენტარი და ეს მიზან-შეწონილი იქნება თუ არა, თქვენ თითონ განსაჯეთ. თქვენ ემსგავსებით იმ რომაელ იურისტებს, რომლებიც გაიძახოდენ სამართალი კი იქნეს დაცული და თუნდაც ქვეყანა დაიღუპოსო. ჩვენ კი ასე ვსჯით: ფორმალური მხარე მართალია დაირღვა, მაგრამ სანატორიუმი კი უნდა არსებობდეს. და კანონიერად მოვიქცევით თუ წარმოდგენილ დეკრეტს დავადასტურებთ. დეკრეტი მიღებულ იქნა. წინააღმდეგ მისცეს ხმა სოციალ-ფედერალისტებმა. თავი შეიკავეს ნაციონალ დემოკრატებმა.

უკანასკნელი საკითხი იყო სენატორთა არჩევნები სარეკომენდაციო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს **ს. ჯაფარიძე**, რომელიც აღნიშნავს, რომ სამმა სენატორმა თავი დაანება სენატორობას. თანახმად სენატის დებულების 21 მუხლისა, არჩეულ უნდა იქნან ახალი კანდიდატები მომავალ წლის 7 ოქტომბრამდე. სარეკომენდაციო კომისიამ ოთხი კანდიდატი დაასახელა. სახელდობრ ანდრია კოსტავა, პეტრე კიზირია, ასლან გელოვანი და იოსებ სიდამე. ასლან გელოვანმა უარი განაცხადა. სარეკომენდაციო კომისიამ მსჯელობა იქონია მხოლოდ ერთი კანდიდატის შესახებ და ამიტომ წინადადებას იძლევა დღეს მხოლოდ ერთი კანდიდატი სახელდობრ, ანდრია კოსტავა იქნეს არჩეული.

მედ. რუხია აცხადებს სოც. დემ. ფრაქციის სახელით, რომ მათ მოსწრეს მხოლოდ პირველი კანდიდატის გარჩევა. შემდეგი წინადადება არჩევნები მოიხსნას დღის წესრიგიდან, რაც მიღებულ იქნა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 20.

ფრანგული ცნობები

ელჩთა კონფერენციაზე.

ელჩთა კონფერენციამ კმაყოფილებით შეიტყო, რომ პადარევსკი თავის მთავრობის სახელით ხუთშაბათს მოაწერს ხელს კონვენციას პოლონეთსა და დანციგის შორის.

ერთა ლიგა.

ერთა ლიგის კრებაზე ჟენევაში ექვსი ვიცე-თავმჯდომარე აირჩიეს.

გერმანული ცნობები

გერმანელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაციები გრძელდება. დემონსტრანტები ხელს უშლიან გერმანულ გაზეთების გამოსვლას და თეატრებში წარმოდგენების გერმანულ ენაზე გამართვას. ბრბომ გაანადგურა 21,000 გერმანული წიგნი და დახურა გერმანელ სტუდენტების სამკითხველო. ექსცესები ებრაელების წინააღმდეგაც არის მიმართული. ჩეხო-სლოვაკელ ოფიცრებსა და მცხოვრებთა შორის შეტაკება ხდება.

ეროვნულ ყრილობის გერმანულ წევრებს განზრახვა აქვთ წარუდგინონ მთავრობას ულტიმატურ ხასიათის მოთხოვნილება, დაუბრუნონ გერმანელებს მათი საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელები ჩეხო-სლოვაკიას მძარცველთა ქვეყანას ჩასთვლიან. ვენის გაზეთები აღნიშნავენ ჩეხო-სლოვაკიაში არსებულ უკანონობას და მოუწოდებენ ერთა ლიგას მიაქციონ ამას ყურადღება.

რუმინია საბერძნეთი.

გერმანული პრესა უარყოფს ხმებს, თითქოს გერმანია საბერძნეთზე გავლენას ახდენდეს. ამასთანავე გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ გერმანია საბერძნეთის საქმეებში სრულიად არ ერევაო.

დანციგის დაცვის მანდატი.

ხმები იმის შესახებ, რომ დანციგის დაცვის სამხედრო მანდატი პოლონეთს ეძლევა, დანციგში დიდ საშიშროებას იწვევს.

გერმანელი კომუნისტები.

ჩრდილოეთ დასავლეთის უკიდურესმა და ახალმა კომუნისტებმა ჰამბურგის ყრილობაზე შეერთება გადასწყვიტეს.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

მიმდინარე მომენტი და პარტიის მიზნები.

მოსკოვი. 19 ნოემბ. „პრავდას" მოწინავე სწერს: ვრანგელის სრული განადგურება და პეტლიურას მთელი რიგი დამარცხება შრომის ფრონტზე გადასვლის საშუალებას გვაძლევს. ეს კიდევ არ ნიშნავს ჩვენი მდგომარეობის შემსუბუქებას. პირიქით გადაუდებამ მოგვისწრო სრულ გალატაკების, ხალხის დაღლილობის და მოუსავლობის დროს, რამაც ჩვენი ენერგიის და ძალების დაჭიმვა უნდა გააძლიეროს. გამარჯვებასთან ერთად დაიბადა სურვილი დასვენებისა და დისციპლინის დასუსტებისა. ვინაიდან ეს დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი პარტიისათვის და საბჭოთა რუსეთისათვის, ამიტომ ახლა საჭიროა პარტიის მწკრივების მეტი დარაზმვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიბადება შესაძლებლობა სამეურნეო აპარატის გადახალისებისა, მხოლოდ პარტიის ნების მთლიანობა მოგვცემს საშუალებას გამოვიდეთ გამარჯვებული იმ მიზნიდან, რომელსაც ჩვენ ვესახავთ. ჩვენ დასუსტებას ყურადღებას აძლევენ ჩვენი მტრები, ევროპის პრესაში უკვე გავრცელდა ყალბი ხმები, რომლებშიაც ბუდიონის ღალატს და ზინოვიევის რაღაც წერილების არსებობას იტყობინებიან. ამ ცნობებს შეცდომაში შეჰყავს ჩვენი ამხანაგები დასავლეთში. რომ ვძლიოთ ავადმყოფობას, საჭიროა ორი მხრით გავაძლიეროთ მუშაობა. ერთი მხრით პარტიაში უნდა მოვსპოთ ბიუროკრატიული წესები და მეორე მხრით ანტი-კომუნისტურ მიმდინარეობას დიდი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. ამ ჟამად პარტიაში ჩაწერილია დიდძალი ახალი წევრები, რომლებიც, მართალია, როგორც მუშები დიდ ღირებულებას წარმოადგენენ, მაგრამ პოლიტიკურად ვერ არიან კარგათ აღზრდილნი. საჭიროა ამ აღზრდის მიცემა. ეს უნდა გახდეს მიზანი დღევანდელი დღისა.

საგარეო ვაჭრობა.

ნახევარმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენში საზღვარ გარეთიდან შემო-

რევოლიუცია და მწერლობა

II

ლ. ნ. ტოლსტოი.

(სიკვდილის შემდეგ ათი წლის შესრულების გამო).

ლ. ტოლსტოი უარჰყოფდა რევოლიუციონურ მოძრაობას, ზიზღით და სიძულვილით უყურებდა რევოლიუციას, მაგრამ თავისთავად ის იყო უდიდესი რევოლიუციონერი. რევოლიუციონერი იყო ტოლსტოი, როგორც მხატვრობაში, ისე აზროვნობაში. ერთ წუთსაც ვერ ურიგდებოდა ვერც ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ვერც მთელ კაპიტალისტურ კულტურას.

ყოველ თავის მხატვრულ ნაწარმოებში ის სასწაულებრივი შორს და ღრმა მხედველობით ამჟღავნებს თანამედროვე საზოგადოებრივი დამოკიდებულების სიყალბეს, გარყვნილებას და გათახსირებას. მოკლე საგაზეთო წერილში ძნელია ყველა ნიმუშებზე შეჩერება. საკმაოა ერთი ადგილი, ვთქვათ, მისი „Анна Каренина"-დან. ანნა კარენინა ქმრისგან წასული და მერე თავისუფალ სიყვარულში მოტყუებული მიდის და სიკვდილის წინ ქუჩაში ფიქრობს:—„მე სულ არ ვიცნობ ამ ქუჩებს. მთებია რაღაც ნაირი, და სულ სახლები, სახლები... სახლებში სულ ხალხი, ხალხი... რამდენია, დასასრული არ უჩანს, და ყველას სძულთ ერთმანერთი... განა ჩვენ, დიდი და პატარა, გადმოსვრილი არა ვართ დედამიწისკენ მარტო იმისთვის, რომ გვძულდეს ერთი მეორე, ვაწამოთ ჩვენი თავიც და სხვებიც? გიმნაზიელები მოდიან, იცინიან. სერიოჟა? (გაიხსენა თავისი შვილი) მეც მეგონა,—რომ მიყვარდა ის, ვსტკბებოდი ალერსით, მერე ხომ მოვშორდი, ხომ გავძელი უმისოდ, ხომ გავცვალე ეს სიყვარული სხვა სიყვარულზე და არც ვნანობდი, ამ გაცვლას, სანამდის მაკმაყოფილებდა ის სიყვარული... ასე ვარ მეც, პეტრეც, მეეტლე თედორეც, ეს ვაჭარიც და მთელი ეს ხალხი ყველგან და ყოველთვის"...

ამისთანა საზოგადოება, რა თქმა უნდა, ციხეა პიროვნებისთვის. სულიერათ ჯანმრთელი ადამიანი თავისუფლათ ვერ ამოისუნთქებს აქ, ის ან შეებრძოლება, მოინდომებს ამ ციხის დანგრევას, ან გაიქცევა, განმარტოვდება. ტოლსტოის გმირი არსად და არასოდეს არ ებრძვის საზოგადოებრივ წესწყობილებას. ის ლოკოკინასავით იმალება თავის ქერქში, ხსნას ეძებს თავის პიროვნებაში. ტოლსტოი ინდივიდუალისტია, პიროვნებას უპირდაპირებს საზოგადოებას. საზოგადოება მის თვალში ცოცხალი ლეშია, პიროვნება კი წმინდაა და უნაკლულო. თავისთავათ და სათითაოთ კარგია ყოველი ადამიანი, მაგრამ ის ეცემა ადამიანური სიმაღლიდან, ისვრება, ირყვნება სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა, ეს ერთი მეორესთან დამოკიდებულება არის მიზეზი იმ დაუსრულებელი ტანჯვის, რომელსაც განიცდის პიროვნება. ასე ფიქრობს ტოლსტოი.

ამ შესანიშნავ მოაზრეს აზრადაც არ მოსდის, რომ შესაძლოა საზოგადოებრივი დამოკიდებულების გარდაქმნა. პირიქით, უნაყოფოთ, უაზროთ მიაჩნია ყოველნაირი ცდა ამ ნიადაგზე. 1905—06 წლის მოძრაობა ტოლსტოიმ დაგმო, სამარცხვინო ბოძზე მიაკრა. დაგმობდა დღევანდელ მოძრაობასაც უეჭველად, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო.

ტოლსტოის დიდი რევოლიუციონერობა გამოიხატება მარტო დიდ უარყოფაში. დადებითათ კი მარტო პიროვნებასთან ქონდა საქმე. შენთვის იყავი, შენი თავი იცანი, შენშია სამოთხე, შენს გარეთ ნუ ეძებო,—ეუბნებოდა ის პიროვნებას. ამაზე იყო აგებული მთელი მისი შემოქმედება. ამაში გამოიხატა მთელი აღმოსავლეთის მსოფლმხედველობა. მისი „Кругъ чтенія" და „Мысли великихъ людей на каждый день" სავსეა აღმოსავლეთ ქვეყნების მოაზრეებიდან ამოწერილი აზრებით. ამ ამონაწერებში ყველგან გატარებულია ერთი მთავარი ხაზი. ბოროტებას არ უნდა შეებრძოლო ძალდატანების საშუალებითო (не противляйся злу насиліемъ). ამას ტოლსტოის თეორიას ეძახიან, მაგრამ ტოლსტოიმ მხოლოდ მკაფიოთ გამოსთქვა აღმოსავლეთის კულტურასთან შესისხლხორცებული აზრი, გადაამუშავა ეს თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში.

ეს არ იყო ბრძოლის უარყოფა, როგორც ბევრს ეგონა და ახლაც ჰგონია. ტოლსტოი ამბობდა რომ ძალდატანებითი ზომებით ბრძოლა ბოროტებას არ სპობს, უარესად აბოროტებსო. ახლანდელი რუსეთის სამოქალაქო ომისთვის რომ ეყურებია, უთუოთ დაინახავდა თავისი თეორიის გამართლებას, იტყოდა: ორივე მებრძოლი მხარე შეიარაღებული ომით ახანგრძლივებს ერთი მეორის ბოროტებასო.

ბრძოლის უკეთეს საშუალებათ ტოლსტოის მიაჩნდა მოთმენა, თავმდაბლობა. სწამდა, რომ ყოველ ადამიანს სულის სიღრმეში უღვივის ნათელი გრძნობა და შეიძლება ამ გრძნობის გადიდება გულკეთილი მოქცევით, სიყვარულითო. სიყვარულს დიდი ადგილი უჭირავს ტოლსტოის მსოფლმხედველობაში. სიყვარულზეა აგებული, მისი აზრით, ის სამოთხისებური ქვეყნიერება, რომელსაც ამაოთ ეძებს ყალბი და გზა აბნეული რევოლიუცია. სიყვარული ამარცხებს ამ სოფლის უკუღმართობას და გზას უნათებს მთელ კაცობრიობას ღვთის ქვეყნისაკენ. ეს არის ძველი საბერძნეთის იდეალისტური ფილოსოფია. ტოლსტოი პლატონის მიმდევარია. პლატონი იდეალურ, საუცხოო სინამდვილეს ეძებდა ხილულ ქვეყნისგან მოშორებით და უხილავის სიყვარულით. პიროვნებას თანდაყოლილი აქვს ეს უხილავი სამოთხე, უნდა გაიხსნოს მხოლოდ, იპოვნოს თავისვე ბუნებაში და იქ დაიმკვიდროს ბედნიერება, რაც უნდა ხდებოდეს დედამიწაზე.

სამოთხე, ზეციური იდეალი გაანათებს ყოველ პიროვნებაში, თუ ის დაუკვირდება თავისთვის და არ გაერევა გარეშე საქმეებშიო. ამ აზრის მიხედვით ტოლსტოიმ მოგვცა არა ერთი და ორი ნაწარმოები. აქ უთუოთ იყო ერთგვარი მიმართულება, ტენდენცია, მაგრამ მხატვრული გენიოსობა ამარცხებდა ყოველთვის ამ ნაკლს, გამოუდიოდა წინდაწინ განძრახული დასკვნა და არც ეკარგებოდა მხატვრობის სიმაღლე. ამას ადვილათ შეამჩნევთ სხვათაშორის მის სახალხო მოთხრობებში (Народные разсказы".)

საზოგადოთ სინამდვილეს არ შეეფერება ის გავრცელებული შეხედულება, რომ ტოლსტოი ერთია, ვითომ, როგორც მხატვარი და მეორე, როგორც მოაზრე. ვინც დაკვირვებით გადაიკითხავს მის ნაწერებს, დაინახავს, რომ ამ უზარმაზარ მწერალში თანასწორათ არის შეზავებული მხატვარიც და მოაზრეც. ის მთლიანი პიროვნებაა. ამ პიროვნებაში სავსებით და ნათლათ იხედება წარსული და დღევანდელი რუსეთი. აქ იხატება რუსეთის ორი უფსკრული, რომელზედაც მიუთითა დოსტოევსკიმ თავის „Братія Карамазовы"-ში. რუსეთში შესაძლო იყო უზომო მოთმინება, მონობა და უზომო თავისუფლება—თავაშვება. ტოლსტოი ფატალისტია, ბედისწერის მორწმუნეა, მის ნაწარმოებში უფრო ბედნიერია ის, ვინც არ ფიქრობს ქვეყნის გადაბრუნებაზე და თავისთვის არის მყუდროთ, თითონ ტოლსტოი კი, ყოველი კალმის მოსმით აბრუნებს დაანადგურებს ამ ქვეყანას. ქვაქვაზედ აღარ დაგრჩებათ ბურჟუაზიული წესწყობილებისაგან, როცა გაეცნობით მის მხატვრულ ნაწერებს. ტოლსტოი ქადაგებს ქრისტესებურ სიყვარულს გიყვარდეს შენი მტერი, როგორც შენი თავიო,—ეუბნება მკითხველს. იმავე დროს თითეული ფურცელი მისი მხატვრული ნაწარმოების აღვიძებს უსაზღვრო სიძულვილს ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი, აღვიძებს სტიქიურ კლასობრივ ზიზღს და შეურიგებლობას. ტოლსტოის კალამს ქვეშ გამოიხედება ის რუსეთი, რომელიც საუკუნიდან საუკუნემდის ატარებს მორჩილების უღელს, მერე უცებ იჩენს ყოვლაფრის დამანგრეველ სიძულვილს.

ტოლსტოის არ სწამს დასავლეთი, დასავლეთის კულტურა, არ სწამს იქ დაბადებული საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა. მარქსის სახელს ის ერთ ალაგას იხსენიებს გაკვრით და ისეთი კილოთი, რომ ეტყობა გროშათაც არ აფასებს ამ პიროვნებას. ევროპა ტოლსტოის თვალში დიდი ბოროტებაა კაცობრიობისთვის, იქიდან მოდის ჯოჯოხეთი. ასე უყურებდენ დასავლეთს მისი წინაპარი მწერლებიც. დოსტოევსკი სწერდა, მაგალითად,—დაიწყევლოს მთელი იქაური ცივილიზაცია, თუ ის ხალხისგან ტყავის გაძრობას მოითხოვს... ევროპაში ყველაფერი ძირგამოთხრილია და, შეიძლება, ხვალვე იქ ყველაფერი დაემხოს... ის უთუოდ დაემხობა საერთოთ და საშინლათ... პროლეტარები დაეცემიან ევროპას, და სულ დაინგრევა სამარადისოთ. დოსტოევსკი რუსეთისაგან ელოდა ევროპის ხსნას. ასეთი იყო დაახლოვებით ტოლსტოის ფიქრიც.

ის უარყოფდა ევროპიულ მეცნიერებას, გამოგონებებს, განათლებას. ეს იყო უარყოფა კაპიტალიზმის, რომელიც მოდიოდა ევროპიდან. ტოლსტოიმ თავისი სიდიდის და შორსმხედველობის მიუხედავათ, ვერ დაინახა ძველი ნაროდნიკებივით, რომ საძაგელ კაპიტალისტურ კულტურას თან მოაქვს ახალი ძალებიც. ამ ძალების მომკრები საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა ვერ იცნო და ვერ დააფასა ტოლსტოიმ. ჩამორჩენილ რუსეთში, აქაურ ჩამორჩენილ ხალხში ის მეტ სიმდიდრეს ხედავდა, აქედან უნდოდა სამოთხის სხივი დაენახვებინა „დაბნელებული" ევროპის კულტურისთვის.

ტოლსტოი რუსეთია, მაგრამ მის მხატვრობა-აზროვნობაში არის მსოფლიური სულისკვეთებაც. მისი ინდივიდუალიზმი, პიროვნების იდეოლოგია წითელ ხაზათ გადის სხვა ქვეყნების მხატვრულ შემოქმედებაშიაც. მხატვრობამ ვერ იპოვნა ძალღვი საზოგადოებრივი განვითარების, ვერ შეამჩნია, რომ მთელი წესწყობილების გარდამქმნელი შეერთებული ძალა იბადება და იკრიბება თითონ ამ წესწყობილების წიაღში. მხატვრობა იქაც ამიტომ ჯერ ჩერდება პიროვნებაზე. პიროვნება სხვადასხვა სახით, სხვადასხვა გზით ეძებს საზოგადოებრივი დამოკიდებულებისაგან თავდასახსნელ გზას. გიუ დე მოპასანი, საფრანგეთის მწერალი, ყველა დიდ და პატარა მოთხრობებში გვარწმუნებს ტოლსტოისავით, რომ ადამიანი თავისთავათ კარგია, მაგრამ ის გლახავდება ურთიერთ დამოკიდებულებაში. ამიტომ მარტოობა და განდეგილობა, აი ის დასკვნა, რომელიც ცხადია მისი მკითხველისთვის. ამავე ხაზით ანარქისტია მეორე საფრანგეთის მწერალი ოქტავ მირბოც. მისთვის ზედმეტია საზოგადოებრივი მისწრაფება, ბრძოლა. ისიც ტოლსტოისებურათ ქმნის მკითხველში სტიქიურ კლასობრივ სიძულვილს ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი და არ ქმნის სურვილს შეგნებული კლასობრივი მოძრაობისას იმავე საზოგადოების წინააღმდეგ. ინგლისის მწერალი ჯონ ლოკი ტოლსტოის კალთაში გაზრდილი გვგონიათ. ის ამოძრავებს პიროვნებას, თავს ამტვრევინებს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მერე ყველაფრის იმედს აკარგვინებს და თავის „მე" ზე აწყებინებს ზრუნვას. როგორც ტოლსტოის „ვოინა ი მირ"-ში ნატაშა დიდი ხნის ბობოქრობის შემდეგ გულს იმშვიდებს თოთო ბავშვისგან გასვრილ ჩვრებში ხელის რევით, ისე ჯ. ლოკის, მაგალითად „Другъ человѣчества", „Женщина побѣдительница"-ში პიროვნება გათხოვებაში და ცოლის შერთვაში ხედავს მთავარ აზრს მსოფლიო ისტორიისას. მეორე ინგლისელი მწერალი რედიარდ კიპლინგი მხატვრული შემოქმედების საგანს ნაკლებათ ეძებს ევროპიულ საზოგადოებაში, გარბის იქაური კულტურისაგან ხელუხლებელ აზიის ქვეყნებში, თხზავს ძლიერ პიროვნებას, თხზავს რაღაც ზღაპრული საშუალებით. ზღაპრულია ამ ხრივ, სხვათა შორის, მისი „Дажунгли", „Наулака" და სხვა. თანამედროვე საზოგადოების გარეთ ეძებს მძლავრ პიროვნებას ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონიც, ის ტყისკენ, ზღვისკენ, ველურებისკენ მიდის ხშირათ ამის საძებნელათ.

საერთაშორისო მხატვრულ მწერლობაში ფეხმოკიდებულია ისევ ანარქიზმი, ინდივიდუალიზმი. იქ ტოლსტოის სული ტრიალებს. რევოლიუცია, რომელიც მოხდა სინამდვილეში, არ შესულა ჯერ მხატვრობაში, საზოგადოთ, ხელოვნებაში. ეს სამერმისო საქმეა. ტოლსტოი დარჩება სამარადისო განძათ მსოფლიო მწერლობის ისტორიაში, მაგრამ მის ფესვებზე ყველგან ამოვა ახალი მწერლობა, რომელიც დაიწყებს საზოგადოებიდან პიროვნებამდის, და არა პიროვნებისგან საზოგადოებამდის. თავთავისთვის უნდა გაუმჯობესდეს ყველა და მაშინ კაცობრიობაც გაუკეთესდებაო,—ამბობს საერთაშორისო ტოლსტოი. კაცობრიობა უნდა გარდაიქმნას და გარდაიქმნება პიროვნებაც,—იტყვის ტოლსტოის ჩამომავლობა.

ს. დედაბრიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტანეს საქონელი. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ სურდათ ჩვენ საგარეო ვაჭრობასთან დამოკიდებულების დაკავება. ისინი განაგრძობენ საბოტაჟს. ის ქვეყნები, საიდანაც შეგვიძლია ჩვენ მიერ შესყიდულ საქონლის შემოტანა, არის: შვეცია, გერმანია და იტალია. ჩვენ ვერ შევძელით იტალიასთან ნორმალური სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა, ვინაიდან ამაში ხელს გვიშლის იტალიის მთავრობა და ინგლისი, რომლის სამხედრო გემებმა დაატუსაღეს ჩვენს სახელზე გამოგზავნილი საქონლით დატვირთული იტალიის გემი.

საფრანგეთი და ვრანგელი.

საფრანგეთის პრესა და პოლიტიკური წრეები ვრანგელის დამარცხებით დამწუხარებულნი არიან. „ეხო დე პარი" მოითხოვს ბოლშევიკების ძალით ჩამოგდებას და მოუწოდებს ევროპის გაერთიანდეს წინააღმდეგ რუსეთისა, რომელიც გაზეთის სიტყვით ინგლისს თუ არა პოლონეთს და რუმინეთს მაინც ემუქრებათ.

პროსკუროვის აღება.

დღეს აიღეთ ქალაქი პროსკუროვი, მტერი თავზარდაცემული გარბის.

საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

მოსკოვი. 19 ნოემ. საბოლოო ზავის შესაკვრელად ნოემბრის 17, რიგაში პოლონეთისა და რუსეთ უკრაინის საზავო დელეგაციების პლენუმის პირველი სხდომა შესდგა. თანახმად პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის დომსკის განცხადებისა პოლონეთი ყოველგვარ ზომას იხმარს დადებულ ზავის განმტკიცებლად. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ ამხანაგმა იოფემ თავის მხრით აღნიშნა სურვილი საბჭოთა რუსეთისა მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოების შესახებ. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხების დეტალურ დასამუშავებლად არსებულ კომისიების დატოვების შესახებ.

ვილნოს ბედი.

ვილნო. 16 ნოემბერი. საკითხი ვილნოს პოლონეთთან შეერთებისა, საერთო ხმის მიცემით უნდა გადასწყვიტონ. ამიტომ ამ ჟამად ვარშავიდან ვილნოში ხალხით სავსე მატარებლები გადის. ახლად მიმავალნი ხმას მისცემენ ვილნოს პოლონეთთან შეერთებას.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

რიგა. 16 ნოემბერი. საგარეო კომისარის ჩიჩერინის მოთხოვნამ, რომ მიეცა ინგლისის მთავრობას საბოლოო პასუხი კითხვაზე: სურს თუ არა მას საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა—ინგლისში დიდი აურზაური გამოიწვია. მოელიან ზოგიერთ მინისტრების კაბინეტიდან გასვლას.

ლიონის ცნობები

დანციგის გარშემო.

პოდარევსკიომ ხუთშაბათს პოლონეთსა და თავისუფალ ქალაქ დანციგის შორის დადებულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

ინგლისი და რუსეთი.

თემთა პალატაში ინგლისის პრემიერმა განაცხადა, რომ მუშავდება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლების ახალი პროექტი. მას იმედი აქვს, რომ ამ პროექტს მოკლე ხანში ჩააბარებენ მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლებს.

ლტოლვილები.

კონსტანტინოპოლში ყირიმიდან 50000 ლტოლვილი მოვიდა, მაგრამ ვინაიდან მათთვის არ აღმოჩნდა დამზადებული თავისუფალი ბინა, ამიტომ ნაპირზე ვერ გადმოვიდნენ. იმედი აქვთ, რომ მათ კუნძ. ლემნოსზე მოათავსებენ. სულ 100,000 ლტოლვილს მოელიან. უმეტესი ნაწილი ალჟირში გაიგზავნება.

ვენიზელოსის მომხრეთა დამარცხების გამო.

პარიზი. 18 ნოემბ. პარიზსა და ლონდონს შორის დაიწყო მოლაპარაკება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნა ვენიზელოსის მომხრეების დამარცხების შემდეგ. ხუთშაბათს ინგლისის ელჩმა ლორდ დერბიმ ინახულა ჟორჟ ლიგი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). როგორც სჩანს, ორივე სახელმწიფოს სურს ერთად იმოქმედოს (გამოტოვებულია). პარიზსა და ლონდონში გადაწყვეტილია წინააღმდეგობა გაუწიონ საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინეს ასვლას. პრინც გიორგის დანიშვნასაც წინააღმდეგობა შეხვდება. ყოველ შემთხვევაში მას მოსთხოვენ საბერძნეთის პოლიტიკურ ორიენტაციის გარანტიას.

მემაღაროეთა შორის.

საზოგადოებრივ მუშაობის სამინისტროში ხუთშაბათს შესდგა მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა სხდომა. მინისტრები გაეცნენ შეთანხმების შესახებ რაიონულ და ადგილობრივ კომისიების მოწვევისა. ხელფასის გადასინჯვის შესახებ მათ განაცხადეს, რომ ისინი მოიწვევენ ასეთსავე კომისიებს სხვა მაღაროებშიც იმავე საკითხის გადასაწყვეტათ.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 20.

ფრენის აკრძალვა.

ბერლინი. მოკავშირეებმა მიმართეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს განცხადებით, სადაც აღნიშნულია, რომ ანტანტა აკრძალავს გერმანიის ყოველგვარ ფრენას ჰაერში.

სიკვდილით დასჯის სტატისტიკა.

პარიზი. „ტანი" მოსკოვის „იზვესტიებიდან" მოყავს სიკვდილით დასჯის სტატისტიკა ივლისის 23 დან აგვისტოს 21-მდე. ეს ცნობები შედგენილია ოფიციალურ განაჩენთა მიხედვით. ერთი თვის განმავლობაში დაუხვრეტიათ 1182 კაცი, ამათში ზოგი ლოთობისათვის, ზოგი იარაღის შენახვისათვის, საბჭოთა მოსამსახურეთა მოსყიდვისათვის, მთავრობის წარმომადგენლებისადმი დაუმორჩილებლობისათვის" და სხ.

გლეხთა აჯანყება უკრაინაში.

გელსინგფორსის გაზეთები იუწყებიან, რომ უკრაინაში განუწყვეტლივ გლეხთა აჯანყებანი ხდება. შეიარაღებულ გლეხთა ბრბოები აჩერებენ მატარებლებს და სიცოცხლეს ასალმებენ მგზავრებს, განსაკუთრებით კომუნისტებს. მგზავრობას ადვილად ვეღარავინ ბედავს.

სამხედრო წესები მოსკოვში.

„ტანი" იუწყება: რიგიდან მოსული ცნობებით მოსკოვში საალყო წესები გამოუცხადებიათ. დაპატიმრებულია რამდენიმე ასეული ოფიცერი—სამხედრო და სახელმწიფო მთავარ შტაბებში მოსამსახურენი.

მონარქიული პროპაგანდა მოსკოვში.

პარიზი. „ტანი" იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, მოსკოვში გაძლიერდა ფარული მონარქიული პროპაგანდა. მიზნათ აქვთ მეფეთ გამოაცხადონ მიხეილ ალექსანდრეს ძე.

რუსეთის კატორღა და კომუნისტური საპატიმრო.

„უნიონის" სააგენტო იუწყება: გაზ. „პრავდას" სიტყვით მემარჯვენე ესერებს გამოუშვიათ მოწოდება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. ესერები ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ მან სამარცხვინო ზავი დასდო პოლონეთთან. ამ მოწოდებაში ესერები საბჭოთა რეჟიმს უწოდებენ „რუსეთის კატორღას და კომუნისტურ საპატიმროს".

„პრავდა" მემარჯვენე და მემარცხენე ესერებს რეპრესიების გაძლიერებით ემუქრება.

საბჭოთა რუსეთის ხარჯთაღრიცხვა.

საბჭოთა რუსეთის ხარჯთაღრიცხვა 1920 წელს შემდეგ თანხას უდრის: შემოსავალი ნავარაუდევია 150 მილიარდი მანეთი, სახელმწიფო გასავალი კი 1160 მილიარდი მან. დეფიციტი ახალი ქაღალდის ფულების გამოშვებით უნდა დაიფაროს.

ქემალ-ფაშას [illegible].

სტამბოლი. უკანასკნელი ცნობებით ტრაპიზონის რაიონში არსებული, ბერძენთა სოფლების მთელი რიგი ქემალისტებს გაუნადგურებიათ.

„ბოსფორო" სწერს: ქემალისტთა და მის მიმდევრებზე დამოკიდებული ოსმალეთის ბედ-იღბალი. თუ მას მართლაც გულწრფელად უყვარს ოსმალეთი, ეს მან უნდა დაამტკიცოს თავისი პატრიოტული გრძნობის გამოჩენით და უნდა უზრუნველყოს თავის ქვეყნის ბატონობა აღმოსავლეთში. ამ ბატონობას ის უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუყონებლივ შესწყვეტს სამოქალაქო ომს და შეაჩერებს თავის შეტევას ამიერ კავკასიის საზღვრებში.

ახალი ამბები

რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტის პირველი სხდომა აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით დანიშნულია დამფუძნებელი კრების შენობაში ნოემბრის ოცისათვის. სხდომაზე მოწვეულნი არიან პოლიტიკურ პარტიების ცენტრალური კომიტეტების, ქალაქთა და ერობათა კავშირის, თფილისის ქალაქის თვითმართველობის, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის და ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის წარმომადგენლები.

◆ **მომარაგების სამინისტრო** კახეთში სხვა ხორბლეულობასთან ერთად იძენს სიმინდს. სიმინდის მოსავალი კახეთში, განსაკუთრებით ალაზნის გაღმა მხარეზე, წელს ძალიან კარგია. ფასები 650 მ.-დან 700 მ.-დე აღის. სამინისტროს შეძენილი აქვს ჯერჯერობით 70 ვაგონამდე. შესყიდვა გრძელდება. შეყიდულია აგრეთვე ხორბალი და ქერი, მაგრამ გაუდამებული წვიმების გამო, რადგან გზები გაფუჭებული იყო, სურსათის მოზიდვა სადგურზე შეუძლებელი ხდებოდა. ეხლა გზები შეშრა და სურსათის გადმოგზავნა უკვე დაიწყო, გადმოგზავნაში სამინისტროს ხელს უწყობს სიღნაღის ერობა. ამ ცუდი ამინდებით იყო ალბათ გამოწვეული ამ უკანასკნელ ხანებში თფილისის ბაზარზე პურზე ფასების ზრდა. კარგმა დარებმა აქაც იმოქმედა—ფასებმა საგრძნობლად დაიწია, მაგ. სიმინდის 2800—3200 მან. დაეცა პური 4000 მან. 2500 მანეთამდე. როგორც გურია სამეგრელოდან მოსული ცნობებიდან სჩანს,—იქაურ სიმინდის ფასებიც 2000 მანეთიდან—800 მანეთამდის ჩამოვიდა და არის ტენდენცია კიდევ დაკლებისა.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრი** ნოე რამიშვილი ბათომიდან თფილისში დაბრუნებისას ავათ გახდა ტემპერატურა აწეულია. მინისტრის მოვალეობას შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი [illegible] ასრულებს.

◆ **ჯანმრთელობის დეპარტამენტის** ცნობა თფილისის ლაბორატორიებში გადამდებ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველათ შრატი და ვაქცინები მზადდება. ამ პროდუქტების ღირსების გამოსაკვლევათ დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით საკონტროლო კომისია შესდგა. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ჯანმრთელობის დეპარტამენტის ვიცე დირექტორი, სანიტარული ინსტიტუტის დირექტორი, ლაბორატორიების და ქალაქთა კავშირის წარმომადგენლები და სხ.

ჯანმრთელობის დეპარტამენტის სახელზე ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „მთავრობის დადგენილებას აბასთუმანის ჯანმრთელობის დეპარტამენტზე გადაცემის შესახებ კმაყოფილებით შევხვდით. ადგილობრივი სამაზრო ერობა მზად არის აღმოუჩინოთ ენერგიული დახმარება". ახალციხის ერობა.

◆ **შეშის მიწოდება მუშებისათვის.** მთავრობამ მოისმინა რა შრომის მინისტრის მოხსენება მოსამსახურეებისათვის შეშის მიწოდების შესახებ, დაადგინა: მიიღოს შრომის მინისტრის მოხსენება და მიაწოდოს მუშებს და მოსამსახურეებს შეშა შემდეგ ფასებში: კუბიკური საჟენი კარგი ხარისხისა 10,000 მან., დაბალ ხარისხისა 8,000 მან.

◆ **სახალხო განმანათლებელ სექციის** გაფართოვება სამხედრო სამინისტროში. სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის გაფართოვების შესახებ, მთავრობამ დაადგინა: მიანდოს სახალხო განათლების მინისტრს სამხედრო მინისტრთან ერთად გაეცნოს კულტურულ-განმანათლებელ სექციის საქმიან მუშაობას და წარმოადგინოს მოხსენება სექციის წარსულ მოქმედების შესახებ და აგრეთვე პროექტი მომავალ მუშაობისა განზრახულ ხარჯთ-აღრიცხვის თანდასწრებით.

◆ **ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა.** საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის მე-2 რაიონული კოლექტივი სთხოვს ამხ. წევრებს აუცილებლათ გამოცხადდნენ ბიუროს ბინაზე (სახალხო სახლი) სამშაბათს, 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, სადაც გადახდილი იქნება დღესასწაული ფ. ენგელსის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო. წაკითხული იქნება მოხსენება: „ფ. ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა".

◆ **სამხედრო მინისტრმა** გრ. ლორთქიფანიძემ შემდეგი დეპეშით მიმართა თფილისში სახალხო გვარდიის ყრილობას: „ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო ფიზიკურადაც თქვენთან არ ვარ. მხურვალე სალამი სამშობლოსა და თავისუფლების დამცველთ. ბევრი თქვენი ქება გამიგონია და წამიკითხავს წინათ. აგერ ერთი წელია თქვენთან ვმუშაობ და ვალათ ვრაცხ თავს განვაცხადო ერისა და მისი მომავლის წინაშე, რომ მთელი ის ხოტბა-დიდება სავსებით დამსახურებული ყოფილა. გაგიმარჯოთ".

◆ **ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრების პრეზიდიუმი.** აცხადებს, რომ კვირას, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში დანიშნულია გაგრძელება ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრებისა. დღის წესრიგი: 1) გამგეობის არჩევნების შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის არჩევნები, 3) საბჭოს წარმომადგენლების არჩევნები, 4) შრომის ბირჟის შესახებ, 5) მიმდინარე კითხვები. ამხანაგების კრებაზე დასწრება სავალდებულოა, ვინაიდან დღის წესრიგში დასმულ კითხვების გადადება ყოვლად შეუძლებელია.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარმა** შტაბმა გორიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: გვარდიის ორივე ბატალიონის მობილიზაცია სასურველად, სამშობლოს პოლიტიკურ მდგომარეობისა და მოვალეობის შეგნებით, ჩატარდა. მეცადინეობა დადებითად მიმდინარეობს. სულიერი განწყობილება საუცხოვოა. გვარდიელები აღთქმას სდებენ, რომ ძვირფას სამშობლოს დაცვაში, როგორც ყოველთვის, პირველნი იქნებიან. გიძღვნიან ამხანაგურ სალამს.

◆ **დედობის და ბავშვობის საზოგადოება** 24 ნოემბერს თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლათ თეატრში გამართავს „საღამოს". დაიდგმის საუკეთესო ძალების მონაწილეობით დრამა და ოპერა. დრამაში მონაწილეობას მიიღებს მსახიობი ქალი ქიხარევა. 28 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს" ბინაზე საღამოს 5 ს. მოეწყობა ლატარია-ალეგრი, 10 ს. კი ქართულ კლუბში გაიმართება ვახშამი-კაბარეთი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთათვის** 22 ნოემბრიდან დაიწყება ხოროში მეცადინეობა ა. ა. ცენოვსკის ხელმძღვანელობით. მეცადინეობის უმთავრესი დანიშნულებაა სახალხო უნივერსიტეტის საკუთარი ხორის შედგენა. მეცადინეობა იწარმოებს სამშაბათობით და პარასკეობით 6 საათიდან. მეცადინეობა უფასოა ისე, როგორც საერთოდ ყველა საგნები სახ. უნივერსიტეტში. მეცადინეობის საგანს შეადგენს მსმენელების როგორც ელემენტარული თეორეტიული, ისე პრაქტიკულად მომზადება ხორისათვის.

◆ **კარლ კაუცკის სახელობის სახალხო გვარდიის სახლში** კვირას, 21 ნოემბერს დადგმული იქნება პიესა „ციმბირელი" საგანგებო ბატალიონის გვარდიელებისათვის უფასოთ.

◆ **ახალი ჟურნალი.** დეკემბრის პირველ რიცხვებში ს. დევდარიანის რედაქტორობით და წიგნების გამომცემელ საზოგადოების „ეკონომიურ ცხოვრება"-ს გამომცემლობით გამოვა ახალი ჟურნალი რუსულ ენაზე—„**Экономическая жизнь**".

◆ **ორთაჭალის მუშათა კლუბი.** საზამთრო შენობაში 21 ნოემბერს დილის 11 ს. წაიკითხავს მოხსენებას რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი. დასწრება უფასოა.

◆ **მუშათა ცენტრალურ აუდიტორიაში** დღეს გაიმართება მეტად საინტერესო იაფ ფასიანი სიმფონიური. საღამო 3. ილიჩენკოს დირიჟორობით.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** გამოვიდა „ეშმაკის მათრახის" № 50 შემდეგი შინაარსით: აღმოსავლეთის საკითხი—დიპლომატიისა; მემკვიდრე—(დასურათებული ლექსი) თაგუნასი; ლექსები—შქანჯალებულისა; ზამთრის პირი—ლექსი ძ-სი; „ჰკლარას" ბედი—ისტორიკოსისა; საჩრჩობელაზე—გ. ბომბორელისა და სხ. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე მრავალი კარიკატურები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 21 ნოემბერს წაიკითხება ლექციები. 1 ჯგუფში. 1) ი. ანთაძე—საქართვ. ისტორია, 2) გრ. ნათაძე—პირველ ყოფილი კულტ. ისტორია. 2 ჯგუფ. 1) პრაქტიკული მექანიკა—ალიბაია, 2) ქიმია—ტყეშელაშვილი, საბურთალოზე: ბაქრაძე—პირველ ყოფილი კულტურის ისტორია.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც დიდი ვალი დაგვდეთ და ფულს არ გვიგზავნიან, ამიტომ დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება: გრაკალს, სოხუმს, ოზურგეთს, სიღნაღს და თელავს. ჩქარა შეუწყდება სხვებსაც თუ ფული არ გამოგზავნეს. კანტორა „განათლება".

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენი გაზეთის „დღიურში" სწერია: დასავლეთის სოც.-დემ. პარტიის ყრილობამ. უნდა იყოს: ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ყრილობამ.

კრებები.

ორშაბათს, 22 ნოემბერს საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სხდომა.

— კვირას, 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია სტუდენტთა კავშირის გამგეობის სხდომა სტუდენტთა სასადილოში.

— დღეს, დილის 10 ს. თფილისის ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოწვეულია ყოფილ პოლიტიკურ დასჯილთა საერთო კრება.

— დღეს საღამოს 5 ს. „აკადემიური კლუბის" ბინაზე (სერგიევის ქ. № 3) შესდგება ახალი კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება.

საქართველოს კონსტიტუცია

ოთხშაბათს, ნოემბრის 24-ს დამფუძნებელი კრება დაიწყებს კონსტიტუციის პროექტის განხილვას.

კონსტიტუციის პროექტი მოხსენებისათვის განაწილებულია საკონსტიტუციო კომისიის წევრთა შორის შემდეგი წესით:

მთავარი მოხსენებას პროექტის შესახებ საერთოდ — გააკეთებს კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე.

თავი 1-ლი, მე-2 და მე-17 „ზოგადი დებულებანი", „მოქალაქეობა" და „კონსტიტუციის გადასინჯვა"—პ. საყვარელიძე.

თავი მე 3 და მე-15 „მოქალაქის უფლებანი" და „სახელმწიფო მოხელენი" ქ. ჯაფარიძე.

თავი მე-4 და მე-5—„პარლამენტი" და აღმასრულებელი ხელისუფლება ს. ჯაფარიძე.

თავი მე-6 „სასამართლო"—ს. დადიანი.

თავი მე-7 „სახელმწიფო ფინანსები" ივ. გომართელი.

თავი მე-8—„კონტროლი" გ. გვაზავა.

თავი მე-9 „სახელმწიფო თავდაცვა" —სპ. კედია.

თავი მე-10 „ადგილობრივი მმართველობა"—მ. რუსია.

თავი მე-11 და მე-13 აფხაზეთისა, სამუსლიმანო საქართველოსა და ზაქათალის ავტონომიური მმართველობა" და „სოციალ-ეკონომიური უფლებანი"—აკ. ჩხენკელი.

თავი მე-12 და მე-14 „სწავლა-განათლება და სკოლა" და „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი"—ლ. ნათაძე.

თავი მე-16 „სახელმწიფო და ეკლესია" ი. ბარათაშვილი.

კონსტიტუციის პროექტის მიღება და დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

რა ხდება ჩვენს პარტიაში?

დღეს პარტიის ყველა წევრი ლაპარაკობს პარტიის მთლიანობაზე და სამწუხაროდ საქმით კი ცოტა ცდილობს ამისთვის. თითქმის უმეტესობა მოწინავე ამხანაგებისა, როგორც კრებებზე ისე პრესაში აწვალებენ ერთმანეთის ნათქვამ სიტყვებს, აყენებენ კორიანტელს და ბოლოს ლანძღვით და მუქარით ცდილობენ სადავო კითხვების მოფუჩეჩებას, რაც ქმნის გაუგებრობას და სიძულვილს ამხანაგებს შორის. ასეთი ბრძოლის მეთოდი უდიდეს საფრთხეს უქადის ჩვენს პარტიას და ამას უნდა ერიდონ ამხანაგები, ეს იქნება ოპოზიციიდან თუ პოზიციიდან—სულ ერთია. იქნება მართლა ჩვენში სადავო არაფერია და ვილაც ინტრიგანი ქანიანობით შემოჭრილა პარტიაში და ცდილობს პარტიის დანგრევას? როგორც ამას ზოგიერთები ამბობენ. ვინც ასე ფიქრობს და ლაპარაკობს, მას ან გაუგებრობით მოსდის ან ბოროტ განზრახვით ცდილობს ძველი ამხანაგების სახელის გატეხას და ჩირქის მოცხობას, რაც არ არის უპირველესად პარტიისათვის სასარგებლო. ჩვენ ვამბობთ, მართალია პროგრამა ერთი გვაქვს, საერთო ხაზში არ ვდაობთ, მაგრამ პროგრამის ცხოვრებაში გატარების დროს ბევრს ისეთს დეფექტებს აქვს ადგილი, რომელიც სრულიად მიუღებელია დემოკრატიისთვის და რომლის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, სადაო კითხვები ბევრია ჩვენ პრაქტიკულ მუშაობის პროცესში, ვინც ამ ნაკლზედ გაჩუმდება და ხმას არ ამოიღებს, ჩემის ღრმა რწმენით, ის დანაშაულს ჩადის დემოკრატიის წინაშე.

უნდა მოხდეს შეთანხმება, თუ პარტიის მთლიანობა გვიდა. უნდა ჩამოყალიბდეს ერთ ფორმაში თავისუფალი კრიტიკა, რომელსაც უნდა ჩამოშორდეს კერძო კინკლაობის და ლანძღვა-გინების კილო და საღ კრიტიკას არავითარი დაბრკოლება არ ელობებოდეს წინ. ეს კრიტიკა ერთ პარტიულ ორგანოში იქნება, თუ ცალკე სადისკუსიო ორგანო გამოვა, ესეც შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ეს შეთანხმება გაგვიადვილებს სხვა სადაო კითხვების გაშუქებას და პარტიის მთლიანობასაც დიდ სარგებლობას მოუტანს. სადაო კითხვები, როგორც მოგახსენეთ, ბევრია. განა სადაოა ვისთვისმე, რომ დღეს ჩვენი პარტია ნამეტანი აჭრელდა და თანდათან კარგავს თავის ელფერს და ძველ ზნეობრივ გავლენას მშრომელ მასაზედ? ვინც ამას ვერ ხედავს ან ვერ გრძნობს, მას სრულად დაკარგვია კლასთა ბრძოლის, უნარი და პარტიული მთლიანობის სიყვარული, ის ვერც კითხვას მიუდგება სწორედ. ჩემის აზრით სწორეთ ამით აიხსნება, რომ დღეს ჩვენი პარტიის დიდი დუღილის დროს ზოგი სრულად ყურ მოყრუებულია, თითქოს არაფერი ხდებოდეს მის გარშემო და ზოგი ბრაზმორეული ისვრის გამაღიზიანებელ და მუქარის ლოზუნგებს, რაც იწვევს კაი ამხანაგების ერთმანეთის გადაკიდებას და პარტიის მიაქანებს განხეთქილებისკენ. პარტია მაშინ არის უძლიერესი, როცა ის თანასწორობის და ურთიერთის პატივისცემათა საფუძველზეა აგებული.

ხოხო მაჭავარიანი.

საბჭოთა რუსეთში

თურქესტანის ბასმაჩები. თურქესტანის გაზეთების გადმოცემით, ბასმაჩების ბრბოს მთავარი ჯგუფები დასცემიან ანდიჟანის რაიონს იმ მიზნით, რომ დაენგრიათ გზა ანდიჟანისა და ჯალალაბადის შორის, მოეკლათ სადგურზე მათი გარნიზონი და ხელთ ეგდოთ სურსათით მდიდარი ჯალალ-აბადის რაიონი ზამთრისათვის. რკინის გზის სადგურ ჯალალაბადზე ყველა თავდასხმა მათთვის დიდი დანაკლისით მოგერიებულ იქნა. რკინის გზის მოძრაობა აღდგენილ იქნა. ყაზახთა რაზმში ინსტრუქტორებით და შტაბის უფროსებათ არიან თეთრგვარდიელთა ოფიცრები, ბასმაჩებთან კავშირში მოქმედობს წვასილი დანილის რუსული რაზმი.

ატამანი დუტოვი, რომელიც ჩინეთში იმალებოდა, ყველა პროკლამაციებში აცხადებს, რომ ის მზათ არის ბასმაჩებთან წავიდეს.

ინგლისის მთავრობა კაშგარიდან ეხმარება ბასმაჩებს, რომ ხელი შეუშალოს თურქესტანის ჩინეთთან სავაჭრო დამოკიდებულებას.

ბასმაჩების ავაზაკური ბრბო, რომელიც დაბანაკებულია ფერგანის ოლქში, საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლის სახით უკანასკნელ დროს სისტემატიურად სწვავს ბამბას და ბამბის გამწმენდ ქარხნებს—ამით ანადგურებს ბამბის საქმეს ფერგანში, რომელიც ბამბის წარმოების უმთავრესი რაიონია თურქესტანში.

ნაგავი და უწმინდურობა. 29,323 მამულიდან მოსკოვში არის წყალსადენით 9,582 (32,5 პროც.) უწყალსადენო სახლები 19,841 (67,5 პროც.) სახლები კანალიზაციით 7,619 (25,9 პროც.) ქალაქის არასასურველათ მოწყობა კიდევ უფრო გაუარესდა მით, რომ ქალაქის ტრანსპორტმა ვერ შესძლო ნაგავის და უწმინდურობის გაზიდვა.

სახალხო გვარდიაში

ქ. ზესტაფონი. 14 ნოემბერს, დილის 10 საათზე ადგილობრივ საკრებულოში შორაპნის სამაზრო გვარდიის შტაბის ინიციატივით შესდგა მთელი ოლქის გვარდიელთა საერთო კრება. თანამედროვე მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. დევდარიანმა. ამხ. მომხსენებელი ფართოდ შეეხო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას. ის დიდხანს შეჩერდა ოსმალეთიდან მოსალოდნელ ახალ საფრთხეზე და გაუკეთა რა ფართო ანალიზი, როგორც საქართველოს, ისე მთელი მსოფლიოს მდგომარეობა, დახატა ორი გზა: 1) გზა ევროპის გზით სვლისა, შენების, ნამდვილი დემოკრატიის დიქტატურისა—გზა ქართული; 2) გზა ანარქიისა, არევდარევისა, უმცირესობის კომუნისტების ბატონობისა—გზა რუსული.

ამხ. მომხსენებელმა ნათლად დახატა უპირატესობა პირველი გზისა და მოიყვანა ის დამღუპველი შედეგები, რომელიც განუყრელათ თან სდევს მეორე, ბოლშევიკურ-აზიურ გზას, რომელიც ეძებს ხალხის გაბედნიერებას აზიის ჩამორჩენილ ქვეყნებში.

მოხსენება შინაარსიანი იყო და მსმენელებმა. ცხარე ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი. რამდენიმე შეკითხვის შემდეგ კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ს. დევდარიანისა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე და აგრეთვე სამხრეთიდან ახლად წარმომდგარ ქემალ-ფაშას სახით საფრთხის შესახებ, მრავალ-რიცხოვანი კრება შორაპნის ოლქის გვარდიელებისა, მიესალმება საქართველოს, მუშათა და გლეხთა ნამდვილ ინტერესების გამომხატველ—დამფუძნებელ კრებას, მშრომელი კლასისთვის ბრძოლაში გამობრძმედილ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, გვარდიის მთავარ შტაბს და ინტერნაციონალის მამათმთავარს კ. კაუცკის და სიტყვას სდებს დაიცვას მრავალი წლობით ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლება და სამშობლო.

იმ დღესვე საღამოს 8 საათზე ადგილობრივ საკრებულოში შესდგა იმავე გვარდიელთა საერთო კრება, სადაც მოხსენება გააკეთა შორაპნის სამაზრო შტაბის წევრმა ამხ. ს. გოცაძემ რესპუბლიკის გვარდიის მე-2-ე ყრილობის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ფართოდ გაარკვია ყველა ის კითხვები, რომელნიც გაირჩა ყრილობაზე და გაეცნო ის დადგენილებები, რომელიც გამოტანილ იქნა ამ კითხვებზე. იყო შეკითხვები. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ს. გოცაძისა რესპუბლიკის გვარდიის მე-2 ე ყრილობის მიერ გამოტანილ დადგენილებების შესახებ, შორაპნის ოლქის გვარდიელთა საერთო კრება სავსებით იწონებს ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს და ეცდება მათი ცხოვრებაში გატარებას. კრება დიდ ყურადღებას აქცევს სასოფლო სამეურნეო შრომის წარმოების აუცილებლობას და სიტყვას სდებს, რომ მას ცხოვრებაში გაატარებს.

მოხსენების შემდეგ სცენის მოყვარე გვარდიელთა ამხ. არ. არაბიძის მეთაურობით დადგმულ იქნა წარმოდგენა ორ მოქმედებით. ითამაშეს [illegible] პიესა-ვოდევილები: „დატრიალდა ჯარა" და „მოფურჩხული". წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და გვარდიელებიც ნასიამოვნები დარჩნენ.

ნიკა.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატში.

18 ნოემბერს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში შესდგა პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა. განსახილველი იყო: 1) ბინის საკითხი და 2) პრემიული სისტემის შემოღება.

ბინის საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს საბინაო კომიტეტის წარმომადგენელი ხარტიშვილი. ის მოახსენებს სხდომას იმ დადგენილებებზე, რომელიც მიიღო საბინაო კომიტეტმა ბინის საკითხის მოსაწესრიგებლათ. მომხსენებლის სიტყვიდან გამოირკვა, რომ კომიტეტი აუცილებელ საჭიროთ სცნობს მოახდინოს ქ. თფილისის მცხოვრებლებისა და ბინების საერთო აღწერა, რომ გამოირკვეს, თუ რამდენია ქალაქში თავისუფალი ბინა და რამდენია უბინაო. პროფესიონალურ კავშირებმა უნდა გამოყონ აგენტების სახით რამოდენიმე პირი თავიანთ წევრებიდან, რომელთაც დაევალებათ გამოარკვიონ და თვალყური ადევნონ თავისუფალ ბინებს. უნდა დაევალოს საბინაო კომიტეტებს და სახლის პატრონებს, რომ შეადგინონ სია სახლში მცხოვრებთა რაოდენობისა, შეიმუშავონ სახლის გეგმა და წარუდგინონ საბინაო კომიტეტს. კომიტეტის დადგენილებით, ნორმათ მიღებულ იქნება სამ კაცზე ორი ოთახი, თუ ბინა შესდგება 4 ოთახისაგან; თუ მეტისაგან შესდგება მაშინ შეიძლება 1 ოთახი ორ კაცზე, მცირე წლოვან ბავშვებისათვის, 12 წლამდე, 1 ოთახი 3 ბავშვზე, კომიტეტს აუცილებლათ მიაჩნია, რომ კომიტეტის საქმეში არ ჩაერიოს არც მთავრობა, არც მილიცია და სხვა. ის აცხადებს, რომ არავის უფლება არ აქვს, დღიდან გამოცხადებისა, კომიტეტის ნება დაურთველად გააქირაოს ან სხვას გადასცეს ოთახი, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტს უფლება ექნება ასეთი პირი ბინიდან გამოასახლოს.

მომხსენებელი აუცილებლად სცნობს, რომ ამ საქმეებში ფართე მონაწილეობა მიიღონ პროფესიონალურმა კავშირებმა, უკანასკნელს უნდა მიმართონ კავშირის იმ წევრებმა, რომელთაც ოთახი ენდომებათ. კავშირი გამოარკვევს მთხოვნელის მდგომარეობას და აცნობებს კომიტეტს. თუ რომელიმე დაწესებულებების მოსამსახურენი, რომელთაც არ შეუძლიათ კავშირის წევრებად იყვნენ, ასეთები ოთახის საჭიროებაზე განუცხადებენ დაწესებულების უფროსს ხოლო უკანასკნელი მიმართავს საბინაო კომიტეტს.

სხდომამ დაადგინა ეს საკითხი განხილულ იქნეს აღმასრულებელ კომიტეტისა, სეკრეტარიატის შეერთებულ სხდომაზე, რომელიც შესდგება შაბათს, ნაშუადღევს 4 საათზე.

ამის შემდეგ შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ამხ. დობრონიცკი მოხსენებას აკეთებს ქ. თფილისის დაწესებულებებსა და წარმოებებში პრემიალური სისტემის შემოღების შესახებ. ის აცნობს სხდომას შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციის პროექტს ხსენებულ სისტემის შემოღებისას. წარმოდგენილ პროექტის თანახმად პრემია შეიძლება იყოს ინდივიდუალური, კოლექტიური-ბრიგადიული და კოლექტიური მთელ წარმოებაში. სხვადასხვა დარგისათვის დაწესებული იქნება პრემიის მიცემის შემდეგი ფაქტორები: 1) შრომის ნაყოფიერების გადიდება, 2) სამუშაო ძალის ეკონომია, 3) მასალის ეკონომია, 4) ნედლისა და ნახევრად ფაბრიკულთა ეკონომია, 5) საწარმოო იარაღის ეკონომია, 6) უვარგისი საქონლის რაოდენობის შემცირება და 7) წარმოების ნაყოფიერების რაოდენობის გადიდება.

მუშებისათვის მისაცემი პრემიის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითად ჯამაგირის 200 პროცენტს. კოლექტიური პრემიის შემუშავების დროს საფუძვლათ მიღებული იქნება მუშის ძირითადი ჯამაგირი. თითოეულ ცალკე წარმოებაში პრემია შეიძლება შემოღებულ იქნას მუშათა, ან ადმინისტრაციის, ან სათანადო კავშირის ან შრომის სამინისტროს ინიციატივით და მას ამტკიცებს სატარიფო პალატა. პრემიის პროექტის წინდაწინ განსახილველად და მისი როგორც ტექნიკური ისე შრომის დაცვის უზრუნველყოფის მხრივ შესაფასებლად, სატარიფო პალატასთან არსდება „საპრემიო ბიურო", რომელშიაც შედიან ორი სპეციალისტები, შრომის სამინისტროსაგან დანიშნული თითო წარმომადგენელი, სატარიფო პალატის ორივე ფრაქციებიდან და ერთი შრომის სამინისტროს წარმომადგენელი. პროექტის განხილვის დროს მოწვეულ იქნებიან დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელნი და მცოდნე პირნი.

რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების გადიდების მაქსიმუმს,—ის არ უნდა აღემატებოდეს ეხლანდელ პირობებში გამომუშავებულ ნორმის 50 პროცენტს.

ამ ნიადაგზე ხანგრძლივი კამათი მოყვა. ერთნი შეუძლებლად სცნობდენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას მუშათა ხარჯზე, მათ ზედმეტ ენერგიის დახარჯვით და სცნობდენ რა შრომის ნაყოფიერების გადიდების აუცილებელ საჭიროებას მოითხოვდენ სხვა ზომების გამონახვას.

მეორენი აღნიშნავდენ, რომ ვინაიდან დღეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას მუშათა კლასი უდგას სათავეში და ის ყველაზე უფრო დაინტერესებულია სახელმწიფოს განმტკიცებაში, რადგანაც ის ყველაზე მეტად განიცდის თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობის სიმწვავეს და სხვა გზა კი არ არის შრომის ნაყოფიერების (ამ ერთად ერთ საშუალების არსებულ ეკონომიურ მდგომარეობიდან თავის დახსნისათვის) გადიდებლად, ამიტომ მუშათა კლასმა თავის თავზე უნდა გადიტანოს მთელი სიმძიმე და შექმნას მტკიცე სახელმწიფო ორგანიზმი და თავისი მდგომარეობაც გააუმჯობესოს.

დასასრულ მიღებულ იქნა: ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის და საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ მოისმინა რა პრემიალური სისტემის შემოღების პროექტი—მხარს უჭერს მას იმდენად, რამდენად ეს ასწევს შრომის ნაყოფიერებას და ამით გააუმჯობესებს მუშათა ეკონომიურ მდგომარეობას. პროექტი განსახილველად გადაეცს მუშათა კანონმდებლობითი კომისიას.

ამ პროექტის განხილვის შემდეგ მოხდა სეკრეტარიატის სხდომა, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება მეტყავეთა პროფ. კავშირის წარმომადგენლისაგან. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მეტყავეთა კავშირისათვის მოუთხოვია 40 ფეხსაცმელების მკერავი მუშა.

ვინაიდან კავშირს არ აღმოაჩნდა საკმარისი რაოდენობა მუშებისა, უკანასკნელნი გამოყვანილ იქნენ სახელოსნოებიდან და გაეგზავნოს მთავარ შტაბს. მთავარი შტაბი აძლევს მუშებს ერთი წყვილი ფეხსაცმელების შეკერვაში 90 მანეთს, 2 გირ. პურს, შაქარს და სხვა ხარჯებს.

შტაბში გაგზავნილ მუშებმა გაითვალისწინეს რა დღევანდელი მდგომარეობა, მოითხოვეს კავშირიდან, რომ მათ სრული ჯამაგირი მიეცეთ სახელოსნოებიდან, ხოლო შტაბიდან მიღებულ ფულს ისინი სწირავენ ფრონტის სასარგებლოთ. კავშირის გამგეობამ ეს მოთხოვნილება მისაღებათ სცნო.

სეკრეტარიატმა დაადგინა: ჩაითვალონ იქნან ხსენებული მუშები როგორც მობილიზაციით გაწვეულნი და მიეცეთ ფული საერთო წესით.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 ნოემბერს ამხ. ბახტაძის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. პირველი რაიონის კოლექტივის კრება. პირველად ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. გიორგაძე. კრება მოხსენებას ღებულობს ცნობათ. კამათს იწვევს „ახალ სხივსა“ და „ერთობას“ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება. კრება საკითხის შესახებ გამოსთქვამს—ვინაიდან „ახალ სხივლები“ და „ერთობელები“ ერთი პარტიის წევრები არიან—მათ შორის შეთანხმება შესაძლებელია და უსათუოდ უნდა კიდევაც მოხდეს ასეთი შეთანხმება—წინააღმდეგ შემთხვევაში 1-ლმა რაიონმა უნდა მიიღოს უთანხმოების მოსასპობათ თავის მხრივ რადიკალური ზომები.

შემდეგ კრება იხილავს სახალხო გვარდიის მობილიზაციის საკითხს, რომლის შესახებაც კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

სახალხო გვარდიის მობილიზაციის გამო, ყველა პარტიის წევრი, რომელიც ირიცხება გვარდიაში, ვალდებულია უსათუოდ გამოცხადდეს დანიშნულ ადგილზე ფრონტზე წასასვლელათ,—წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი ზომები...

სახალხო და საქონლის სადგურების ქვე-კოლექტივის მოწერილობა ექიმ შატილოვის მიერ რკინის გზის საავადმყოფოს მიტოვების შესახებ კრებას გამოაქვს დადგენილება:

ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონული კოლექტივი, რომელშიაც ირიცხება წევრების დიდი ნაწილი რკინის გზების მუშა-მოსამსახურეებისა, ავალებს რკინის გზელების ადგილობრივ პროფესიონ. კავშირების სოც.-დემ. ფრაქციას—გამოარკვიოს, თუ რა პირობებში მოუხდა ექიმ შატილოვს საავადმყოფოს მიტოვება—და მიიღოს აგრეთვე ზომები მისი, როგორც გამოცდილ თვალის ექიმის სამსახურში უკან დასაბრუნებლათ...

ბოლოს ამხ. მ. ძამაშვილი (სახალ. გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენელი) აცხადებს: საჭიროა 1 ლმა რაიონულმა კოლექტივმა მიიღოს ზომები ნაძალადევში ჯარისათვის ტანისამოსის შესაკერათ ორგანიზაციის მოწყობის შესახებ ღარიბებს ტანისამოსის შეკერვაში მიეცემათ ფასი—მდიდრებმა კი, თავის ხვედრი შესაკერი ტანისამოსი, უნდა შეკერონ უფასოთ—კრება საკითხის მოსაგვარებლათ ირჩევს სამი პირისაგან შემდგარ კომისიას—კოლექტივიდან ამხ. ძმელიძეს—ნაძალ. სახ. გვარდიის შტაბში და ქალთა ორგანიზაციამაც უნდა გამოგზავნონ კომისიაში თავიანთი წარმომადგენლები.

მდივანი გ. ფოფხაძე.

ზემო გომის ს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კოლექტივის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ 1920 წ. ნოემბრის 15 დე გაცემული პარტიული საწევრო წიგნაკები გაუქმებულია. წევრები ვალდებული არიან შეიძინონ სათანადო წესით ახალი წიგნაკები. პრეზიდიუმი.

მუშათა შორის

მეტყავეთა კავშირი. 16 ნოემბერს შესდგა მეტყავეთა კავშირის გამგეობის წევრთა თათბირი. სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. კუპლამაზაშვილი. განსახილველი იყო: 1) ეკონომიური კითხვა და ორგანიზაციული მუშაობა. 2) სომხეთზედ თავდასხმა. 3) დელეგატთა ყრილობის მოწვევა. 4) ავ ნსები. 5) საერთო კრებების გამართვა სხვა და სხვა რაიონებში. და 6) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზედ ლაპარაკობს ამხ. მდივანი. ის აღნიშნავს ჩვენს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და მოუწოდებს გამგეობის წევრებს გასწიონ მუშებში ფართო აგიტაცია, გააცნონ მათ ამ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის ყველა მიზეზი. თქვენ იცით ამხანაგებო, ამბობს ის, რომ დღეს ათასი ჯურის პროვოკატორები დაძრწიან ხალხში, უფრო კი მუშებში და ცდილობენ მათში შეიტანონ განხეთქილება, დაყონ, დაქსაქსონ მუშათა მწყობრი რაზმები და მერე იბატონონ მათზე. ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა არის ნიადაგი მათი არსებობისა და მაღალა მუშათა მთავრობის საწინააღმდეგოთ გამოსვლისათვის. ასეთ პირებს, ჩვენი მუშური პასუხი უნდა გაეცეს; მათ უნდა უთხრათ თქვენ, რომ თავი აანებონ მუშებში პროვოკაციას. თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ მათ მიერ დაგებულ მახეში თქვენ არ გაებმებით. ამიტომ, თქვენ გამგეობის წევრებს ძალიან ბევრი გევალებათ ამ საქმეში, თქვენ უნდა გასწიოთ ფართო აგიტაცია მუშებში, რომ ასეთ პროვოკატორების მუშაობამ არა სასურველი ნაყოფი არ გამოიღოს. მცირე მსჯელობის შემდეგ თათბირმა დაადგინა: მიექცეს ყურადღება, რომ ქარხნებში რაც შეიძლება ხშირათ იმართებოდეს კრებები, დაევალოს კავშირს მოიწვიოს ერთ ერთ რაიონში საერთო კრება და მომხსენებელი. მეორე საკითხზედ კრებამ დაადგინა: გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი სულთანის შავ გენერალს ქემალ ფაშას, რომელიც აგე უწყალოთ ანადგურებს სომხეთის ხალხს და უცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას სომხეთის დემოკრატიას. მესამე საკითხზედ კრებამ დაადგინა, დაევალოს კავშირის პრეზიდიუმს, რათა კვირას, 21 ნოემბრისთვის მან მოიწვიოს დელეგატთა ყრილობა. დანარჩენი საკითხები გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

ვანიკო.

—

მეტყავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი საქარხნო კომიტეტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ დელეგატთა ყრილობის მოწვევა ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო 28 ნოემბრისთვის. პრეზიდიუმი.

—

კიდევ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე. მომარაგების სამინისტროს მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობა, ცხოვრების ჩამორჩენილი ელემენტებისაგან შესდგება, ვერავითარმა ორგანიზაციულმა კავშირმა აქ უმრავლესობაში ფეხი ვერ მოიკიდა, ამიტომ ყოველივე კითხვა პოლიტიკური თუ ეკონომიური, სრულიად მოუწყობელი და არეულ-დარეულია.

12 ნოემბერს საორგანიზაციო კომიტეტმა მოიწვია საზოგადო კრება, რომელზედაც კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოხსენება გააკეთა, სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ საბჭოს წარმომადგენელმა იაუქაძემ. მან აღნიშნა, რომ მაღალი მოსამსახურეები კოლექტიურ ხელშეკრულების მუშები არიან დატოვებული და ეს საშუალებას უსპობს მათ დაბალ მოსამსახურეებთან კავშირში, მან მხურვალედ მოუწოდა კრებას მხარი დაუჭირონ მათს კანონიერს მოთხოვნას რომ კოლექტიური ხელშეკრულება მათზედაც გავრცელდეს.

წინააღმდეგ ილაპარაკა ლ. ცინცაბაძემ, რომელმაც აუხსნა კრებას, რომ ხელშეკრულება, რომელიც ვრცელდება რესპუბლიკაში ყველა დაბალ მუშა-მოსამსახურეებზე, როგორც კერძო ისე სახელმწიფო დაწესებულებებშიც, არ ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა მაღალ მოსამსახურეებზე. ეს ხელშეკრულება გატარდა ყველა რესპუბლიკის ორგანიზაციებში და შემდეგ დაკანონდა, მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე პირები მაშინაც მოითხოვდნენ მაგ კითხვის შეცვლას.

ის მოუწოდებს კრებას, რომ არსებულ ხელშეკრულების წინააღმდეგ არ მიეცათ ხმა, მაგრამ მაინც მომხსენებლის წინადადება იქნა მიღებული:

დამსწრე.

პროვინცია

ქვედა აჭარა. 7 სექტემბერს სოფელ ორთა ხოხნაში მოჰკლეს ახალგაზრდა საუკეთესო ხალხის მეგობარი მეველუდ სალაძე, განსვენებული წუთისოფელს გამოსალმეს მისივე სოფელში მცხოვრებლებმა: ყედირ ლეზგო-ოღლიმ და ოსმან დელი მემედ-ოღლიმ. სოციალ-დემოკრატიის პარტიის დაუღალავი მუშაკთაგანი, მამაცი და ერთგული მოამსახურე. განსვენებულის მკვლელები ყედირ ლეზგიოღლამ და ოსმან დელი მემედ ოღლი სოფელში წინათვე ბოროტ პირებათ ითვლებოდნენ. ყედირი რუსეთის მართვა-გამგეობის დროს ცუდი მოქმედებისათვის, როგორიცაა თავდაცემა—ძარცვა, ქურდობა რამოდენიმე წელი ციხეში იჯდა, ხოლო მას შემდეგ ინგლისელების მართვა-გამგეობის დროს დ ტყვეობულ და ციხეში იყო და ერთი კვირის წინ რაც სამუსლიმანო საქართველო შეერთდა საქართველოსთან, ამ შემთხვევასაც ხელს უშლიდა, მაგრამ ბოროტმოქმედებამ მუქთათ არ ჩაუარათ მათ. ისინი შეპყრობილ იქნენ და გაგზავნეს ბათუმის ციხეში, რამაც ხალხი ძლიერ ასიამოვნა.

ს. ძენწმა. ზეირ ხუსმანიძე.

—

ქვენის თემი (სამტრედიის რაიონი). 31 ოქტომბერს შესდგა კოოპერატივის „თანაგრძნობის“ წევრთა საერთო კრება ანგარიშის განსახილველათ. ანგარიშების განხილვის დროს კრების წინაშე წამოიჭრა შემდეგი საკითხები: 1) რეორგანიზაცია გამგეობის, ნოქრების შემადგენლობისა და სარევიზიო კომისიის, 2) ჯამაგირების საკითხი, 3) პაის გადიდება და სხვა.

პირველ კითხვის შესახებ სარევიზიო კომისიამ ვერ წარმოადგინა ნათელი შეხედულება, თუმცა, და ბოლოს, წამოაყენა ომი, მაგრამ ამას ხელ ახალი გარჩევა და დამუშავება სჭირია. მეორე კითხვის შესახებ დაადგინეს: გადიდებული ექნას ჯამაგირები და თვითეულს მიეცეს 4,000 მ. თვიურათ, როგორც გამგეს, ისე ნოქრებსაც, მესამე კითხვის შესახებ: პაი გაადიდეს 1000 მ.-დე. და თან დაუმატეს; რომ სანამ რომელიმე წევრი ძველი პაის მიხედვით არ შეასრულებს ახალ პაის,—მას საქონელი არ მიეცემა. გამგეობა გამოცვლილ იქნა. ნოქრებათ აირჩიეს: ან. მანჯგალაძე და კოსტან. არველაძე. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ან. ულაჯიშვილი, ვლ. კოპალეიშვილი და ვ. ფუცხვერია. ძველმა გამგეობამ ეხლავე უნდა გადასცეს ახალ გამგეობის კომისიის მიერ ხაზჩვენები მათზე დარჩენილი 4,3000 მანეთზე ცოტა მეტი; საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს სამტ. რაიონულმა კოოპერატივის კავშირმა—„კონა“-მ, რადგან იგი ვალდებულია მთავარი ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა მის წევრებს. დღეს კოოპერატივები თვალსაჩინო როლს თამაშობენ ეკონომიურ ცხოვრებაში. ამიტომ კოოპერატივებს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, დღეს კი ჩვენი კოოპერატივები ზოგიერთ ადგილებში ისეთ პირების ხელშია, რომ მათი დაუსჯელათ დატოვება ნიშნავს ხალხის გულის აცრუებას დემოკრატიულ ორგანიზაციებზე.

ხევ. ხვიჩია.

—

ცხინვალის მილიციის უფროსი და მისი თანაშემწე ელიოზიშვილი ნამდვილ დიქტატორობას იჩენენ, დაბრძანდებიან სოფლებში იმ მამულებთან, რომლებსაც სამ-სამი ნორმა აქვთ აღებული და იმათი ბრძანებით სცემენ და აპატიმრებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

მაგალითად ს. ქორდში ჰქონდათ დავა გედევანიშვილებს და ხაჩიურებს წისქვილზედ და მამულზედ. სამი წელიწადია რაც სასამართლოში სწარმოებს ამათი საქმე და ჯერ არ გათავებულა. ამ ერთი კვირის წინათ მისულა ელიოზიშვილი მილიციონერებით და ჩაუბარებია წისქვილი გედევანიშვილებისთვის და დაუპატიმრებია ხაჩიურები. ხაჩიურებმა მიმართეს სამხარო ადმინისტრაციისათვის და იქიდან მოუტანიათ ბრძანება, რომ წისქვილი ისევ ხაჩიურებისთვის დაებრუნებიათ, მაგრამ წისქვილი ეხლაც დაკეტილია.

ამის შემდეგ მისულა ელიოზიშვილი ქ. გორის მილიციის უფროსის თანაშემწე თან ბუთხუზთან ერთად და დაუკეტნიათ ზერეკიძის საკუთარი მამული, რომელსაც დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია სოფელში.

19 ღვინობისთვეს ეს ელიოზიშვილი ჩაბრძანებულა ს. ერგნეთში ორი მილიციონერით და ეფემია მაჩაბლის ბრძანებით გამასპინძლებია მშვიდობიან მცხოვრებლებს მათრახებით. უცემია ილია კასრაძე და დაუპატიმრებია. როგორც ბოლშევიკი. კასრაძე ჩვენი კოლექტივის წევრია. მაჩაბლისვე ბრძანებით მოუკლავთ ოთხ ფუთიანი ღორი ვასო კასრაძის. დამუქრებია კიდევ ხალხს მთავრობის სახელით.

ამნაირი მოქმედება დიდ მღელვარებას იწვევს ხალხში.

ეფემია მაჩაბელმა ეს იმიტომ მოახდინა, რომ მას აქვს სამი ნორმა და იმის ჩამორჩილ მამულში შევიდნენ მცხოვრებლები. მათ წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა, რომ კიდევ ალო მეოთხე ნორმა. ეს სამი ნორმაც მას მიღებული აქვს ყალბი საბუთებით და გამოძიებაც სწარმოებს ამაზედ. მაჩაბელს ჰყავს ერთი მოხუცებული ქმარი და ერთიდ-ერთი შვილი და მათი სახლი შეადგენს ერთს ოჯახს. კანონით მას ერთი ნორმის მეტი არ ეკუთვნის. საჭიროა ამისთანა მოქმედებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

სოფლის მუშა.

ბიბლიოგრაფია

(ახალი ავადმყოფობა ჩვენში.)

სიმონ კანდელაკი. ავადმყოფობა Pappataci და კოღო Phlebotomus'-ი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში გამოცემა საქართველოს მუზეუმისა. ფასი 150 მან.

ამ დღეებში გამოვიდა საქართველოს მუზეუმის მიერ გამოცემული საყურადღებო შრომა ექ. ს. კანდელაკისა საქართველოში ახალი ავადმყოფობა პაპატაჩის აღმოჩენის შესახებ. ეს შრომა უნდა ჩაითვალოს დიდ განძათ ჩვენს სამედიცინო ლიტერატურაში. დიდ ინტერესს გამოიწვევს ის აგრეთვე საზღვარ გარეთაც, როგორც პირველი გამოკვლევა პაპატაჩის და მისი გამავრცელებელი კოღოსი საქართველოში.

პაპატაჩი ეკუთვნის ტროპიკული ავადმყოფობათა ჯგუფს და გავრცელებულია ცხელ და თბილ ქვეყნებში. ამავე ჯგუფს ეკუთვნიან: მალარია, კალა აზარი, გემოგლობინონი ციება, აღმოსავლეთის მუწუკი, ტროპიკული დიზენტერია და სხვა. ეს ავადმყოფობები მუსრს ავლებენ ცხელი ქვეყნების მცხოვრებლებს. განსაკუთრებით ახლად მოსულები ხვდებიან მათი მსხვერპლი. ეს გარემოება ძლიერ აფერხებდა აზიის და აფრიკის კოლონიზაციას ევროპიელების მიერ. ამიტომ ევროპის მეცნიერებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ავადმყოფობების შესწავლას და მათთან ბრძოლის ორგანიზაციას. ამნაირათ შეიქმნა მედიცინაში დიდი განყოფილება—ტროპიკული მედიცინა ევროპის სამეცნიერო ცენტრებში და აგრეთვე კოლონიებში სპეციალური ინსტიტუტები დაარსეს ტროპიკულ სენთა შესასწავლათ. აღორძინდენ აგრეთვე კომისიები, ლაბორატორიები და ექსპედიციები ამ სენებთან საბრძოლველათ.

ამ საუკუნის დასაწყისიდან რუსეთში ფართოთ დაიწყო მალარიის და სხვა ტროპიკული სენების შესწავლის და მათთან ბრძოლის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული ამიერ კავკასიას და კერძოთ საქართველოს, რადგანაც ამ ადგილებში არის ძლიერი მალარია და ეგულებოდა სხვა ტროპიკული სენებიც. რუსეთის მეცნიერული და საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა თფილისში სპეციალური ინსტიტუტის გახსნას ტროპიკული სენების შესასწავლათ. მაგრამ ძველი მთავრობა უფრთხოდა კავკასიაში სამეცნიერო ცენტრის შექმნას და ამიტომ ეს საქმე არ განხორციელდა.

სამწუხაროთ დამოუკიდებელმა საქართველომ ჯერ ვერ მოაწყო მალარიის და ტროპიკული სენების შესწავლის და მათთან ბრძოლის საქმე ისე, როგორც ამას მოითხოვს საქმის სიდიდე და სერიოზულობა, თუმცა ამ მხრივ ცდა იყო და არის. დაარსებულია უკვე სანიტ. ინსტიტუტთან სპეციალური განყოფილება მალარიისა და ტროპიკული სენების შესასწავლათ, მაგრამ ეს განყოფილება ჯერ არ გახსნილა, რადგანაც ჩვენში არ მოიპოვება ამ საქმის მცოდნე მეცნიერი. ეს არ უნდა აფერხებდეს საქმეს, დ უეჭველად უნდა მოვიწვიოთ ევროპიდან საჭირო სპეციალისტი; 3) რაც შარშან გაგრაში და წელს ყარაიაზში ზარალი მიაყენა ჩვენს გვარდიას და გადმოსახლებულებს მალარიამ ის განიზომება ათეული მილიონებით.

მაგრამ გარდა მალარიისა ჩვენში სხვა ბევრი ტროპიკული სენებიც არის გავრცელებული, მხოლოდ ბევრი მათგანი ჯერ გამოუკვლეველია. ამ მოკლე წარსულში უკვე რამოდენიმე მათგანი იქნა აღმოჩენილი. ექიმმა გურკომ აღმოაჩინა, ალაზარი, ზოგიერთებმა აღწერეს გემოგლობინიანი ციება. აღმოაჩინეს აგრეთვე ყვითელი ციების გადამტანი კოღო და სხვა.

ეხლა ექიმმა ს. კანდელაკმა აღმოაჩინა ჩვენში ავადმყოფობა პაპატაჩი და მისი გამავრცელებელი კოღო ფლებოტომუსი.

პირველად კოღო ფლებოტომუსი აღმოუჩენია კანდელაკს ტრაპიზონში. 1916—1917 წ.წ. ტრაპიზონში მდგომ ჯარის ნაწილებში და მცხოვრებლებშიაც გაჩენილა რაღაც ეპიდემია. ექიმების აზრით ის უნდა ყოფილიყო ტროპიკული ავადმყოფობა პაპატაჩი. რადგანაც პაპატაჩის ავრცელებს კოღო ფლებოტომუსი, ავტორი შესდგომია ამ კოღოს ძებნას და ბლომათ უპოვნია ისინი ეპიდემიით მოცულ ადგილებში. რამოდენიმე კოღოსათვის მოუწოვნებია 3 პაპატაჩიანი ავადმყოფების სისხლი და წამოუყვანია თფილისში. ამ კოღოებით დაუკბენინებია თავისი თავი პროფესორ მარცინოვსკის, რომელიც ავათ გამხდარა ისეთი ავადმყოფობით, როგორიც ტრაპიზონში მძვინვარებდა. ამნაირათ დამტკიცდა, რომ ტრაპიზონში გავრცელებული პაპატაჩი გადაქნდა ავადმყოფიდან კარგათ მყოფზე ავტორის მიერ აღმოჩენილ კოღო ფლებოტომუსს. ამის შემდეგ ეს კოღო ავტორს აღმოუჩენია თფილისში და ბორჯომში. ბორჯომში აღმოუჩენია აგრეთვე პაპატაჩიანი ავადმყოფი. წიგნში ვრცლათაა გარჩეული პაპატაჩის სიმპტომები და დიფერენციალური დიაგნოზი.

წიგნის მეორე ნახევარი შეიცავს კოღო ფლებოტომუსის ვრცელ აღწერას.

წიგნში ჩართულია თორმეტი მშვენიერათ შესრულებული სურათი.

უეჭველია საქართველოს ბევრ ადგილებში იქნება პაპატაჩი და ძიება. ექ. ს. კანდელაკის წიგნი საუკეთესო ლამპარი იქნება ამ კვლევა-ძიებაში.

წიგნი მშვენივრათაა გამოცემული და ღირს 150 მ. წიგნის დაკვეთა შეიძლება საქართველოს მუზეუმიდან.

ექ. ნ. რუხაძე.

ღია წერილი

მეორე სახელმწიფო თეატრის (ქართ. დრამის) დირექციის მიმართ.

ამ ერთი თვის წინათ მე მოგმართეთ განცხადებით, რომ როგორც დღემდე—23 წლის განმავლობაში ვირიცხებოდი ქართული თეატრის ექიმად დიდის სიამოვნებით უსასყიდლოდ ვწამლობდი მსახიობთ და მოსამსახურეთ, დღეიდანაც ისევე მზათ ვარ ვემსახურო მეთქი მათ. დღემდე თქვენგან პასუხი არ მიმიღია.

ეხლა გავიგე, რომ ჩემს მაგივრად კბილის ექიმად მოგიწვევიათ ქ—ი ფალავა (მეუღლე ქართ. თეატრის დირექტორისა). ასეთმა თქვენმა გადაწყვეტილებამ მე გამაკვირვა და ამიტომ მოგმართავთ კითხვით; რა მიზეზით არ მიიღეთ ჩემი წინადადება, ოცდა სამი წლის ამაგი არ დამიფასეთ და ჩემს ადგილზედ სხვა პირი მოიწვიეთ? იქნება ეს მოხდა მსახიობთა ინტერესისათვის და მოიწვიეთ ჩემზე უფრო გამოცდილი და უკეთესი ექიმი? თუ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდით, მაშინ თქვენ იქნებით მართალნიც იყვენით, უკეთესის წინაშე მეც თავს მოვიხრი და, თუ ეს მოხდა მხოლოდ „ნათლიმამობით“, მაშინ კი უკმაყოფილო ვიქნები თქვენის უსამართლო გადაწყვეტილებით.

კბილის ექიმი ალექსანდრე ხოლოდაშვილი.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც

დაიკარგა

ჩემი შვილი გიორგი ალექსანდრეს ძე ბზიშვილი. ბევრი ვეძებეთ და დღესაც ვეძებთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს გთხოვთ უმორჩილესად გვაცნობოთ შემდეგ ადრესით: ქ. გორი, ერობის ხერხის ქარხანა, მჭედელს ალექსანდრე ბზიშვილს.
(3739—3—2)

ექიმი

რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემლის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—დეკ.

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35.
(18—დეკ.)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი

მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი მ დეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებელნი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38.
(26 ნოემბ.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი

ი. ა. ტერ-ავაკუმოვი

გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და 914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

გოკიელისა

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(21 ნოემ.)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გვინოში. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემლის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5 სახალხოს უკან, პეტრე დიდის ქ ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 0 11 ნახ. ს საღ 5 7 საათამდე. 13 დეკ

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი, ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9 12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე
11 დეკ

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

ზ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემლის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

განცხადება

იმ წერილის მომტანს, რომელიც არის დაწერილი მარიამობისთვის ორცდა რვაში ქ. ბათომში პირადათ ჩემზე გადმოსაცემად და მივიღე კი ფოსტით,—ჩემი დაკარგული შვილი არჩილ მიხეილის ძე ქ ნიშვილისაგან, რომლის ამხანაგებიც არიან ვასო და კოლა. უმორჩილესი თხოვნაა შემოიაროს ჩემთან, რაზედაც წინდაწ ნ მადლობას უძღვნი. მისამართი: გოგოლის ქ. № 64 ბინა № 7. იკითხე ნადო თოდუახი. (3759—1—1)

დიდუბის ელექტრონის სადგურის ადმინისტრაცია

აცხადებს თავის აბონენტების საყურადღებოთ, რომ ელექტრონის ძალის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სინათლის ფასი შემოტანილ იქმნეს სადგურის კანტორაში

უეჭველთვიურად თვის ათ რიცხვამდე

კანტორა მოთავსებულია ძმ. „სეილანოვების“ თამბაქოს ქარხანასთან ელისაბედის ქ. № 125.
(3750—2—1)